პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1979 წელი
სამშაბათი
12
ივნისი
№ 134
(17479)
ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

პირადი ბიბლიოთეკა

ჩემი მეგობრები წიგნები არიან... დიდი პუშკინის ამ ამაღელვებელ სიტყვებს დღეს მილიონობით საბჭოთა ადამიანი იმეორებს. ადამიანის გონებისა და მარჯვენის ეს მშვენიერი ქმნილება — წიგნი მტკიცედ დამკვიდრდა ჩვენს ცხოვრებაში, ცოდნისა და ხალხის გამოცდილების ჩირაღდანი, ჩვენი თანაშემწე, ერთგული მეგობარი და მრჩეველი გახდა. უწიგნოდ წარმოუდგენელია შრომითი სადაგი დღეები თუ დასვენება. ჭკვიანური, ნიჭიერად დაწერილი წიგნების კითხვა ჩვენს სულში მშვენიერ აღტაცებას იწვევს, დიდ ზნეობრივ-პოლიტიკურ ძალას გვმატებს.

საბჭოთა ხალხი, საყოველთაო აღიარებით, დედამიწაზე ყველაზე მკითხველი ხალხია. სტატისტიკა ადასტურებს: ჩვენში ერთ სულ მოსახლეზე 3-ჯერ მეტი წიგნი და ბროშურა მოდის, ვიდრე საშუალოდ ერთ კაცზე მთელ მსოფლიოში. მარტო შარშან თითქმის 2 მილიარდი წიგნი გამოვიდა. ეს ფასდაუდებელი სიმდიდრეა და ისე უნდა მოვიქცეთ, რომ იგი რაც შეიძლება, უკეთ ემსახურებოდეს საზოგადოებას, ხელს უწყობდეს მასების იდეურ-პოლიტიკურ და ზნეობრივ აღზრდას.

წიგნი უდიდესი ძალაა, ამბობდა ვ. ი. ლენინი, და იგი მოძრავი, მოარული უნდა გავხადოთ. ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს, რამდენად ფართოდ ტრიალებს წიგნი ხალხში, რამდენი ახალი მკითხველია ჩაბმული წიგნის კითხვაში. ჩვენ პროპაგანდა უნდა გავუწიოთ ლიტერატურას, წიგნის სამყაროში ორიენტაციის უნარი გამოვუმუშაოთ ხალხს და ამ საქმეში უპირველესი როლი მიეკუთვნება სახელმწიფო და საზოგადოებრივ ბიბლიოთეკებს. ჩვენში 350 ათასი ასეთი დაწესებულებაა და ყოველი მათგანი მისაწვდომია მკითხველისათვის.

საზოგადოებრივ ღირებულებას წარმოადგენს პირადი ბიბლიოთეკებიც. ძნელად თუ ნახავთ ოჯახს, რომელსაც თავისი წიგნები არ ჰქონდეს. სოციოლოგიური კვლევის თანახმად, ასეთ ბიბლიოთეკებში თავმოყრილია 30 მილიარდამდე წიგნი — გაცილებით მეტი, ვიდრე კოლექტიური სარგებლობის ფონდებში.

კარგია შინ გქონდეს მხატვრული, საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სასწავლო და საცნობარო ლიტერატურა, რომელიც აუცილებელია თვითგანათლებისათვის, ნაყოფიერი მუშაობისა და კულტურული დასვენებისათვის. დასვენების საათებში კითხვისას ადამიანი არა მარტო ისვენებს, არამედ რაღაც ახალსაც იგებს, ინტელექტს ივითარებს, რათა ასკეცად დაუბრუნოს ცოდნა ადამიანებს, უფრო შემოქმედებითად იშრომოს. ბევრ ოჯახში ნახავთ საბავშვო წიგნის თაროს, სადაც გონივრულად არის შერჩეული ლიტერატურა. ჩვენ ვამაყობთ ოჯახის კულტურული ფასეულობებით, რომლებიც მეტყველებენ სოციალურ მონაპოვრებზე, ხალხის კეთილდღეობის მაღალ დონესა და მისი კულტურის ზრდაზე.

გიყვარდეს წიგნი — ნიშნავს დღენიადაგ მიმართავდე და უკეთ იცნობდე მას. ვისაც წიგნი უყვარს, იგი ყოველთვის მზად არის გულუხვად გაუზიაროს სიხარული სხვებს, თავისი ბიბლიოთეკის კარი გაუღოს იმათ, ვისაც ეს სჭირდება. ასეთია სოციალისტური ცხოვრების წესით აღზრდილი ხასიათის თვისება. „წიგნს უნდა ვუმადლოდე ყველაფერს, რაც მაქვს, — წერს ნიკოლაეველი მუშა ს. დობიჩინი. — ბევრს ვკითხულობ. წავიკითხავ და მაშინვე ვცდილობ ვინმე ნაცნობი გავახარო. როგორ შეიძლება, რომ წიგნი თაროზე იმტვერებოდეს?". ჩვენში კეთილშობილურ ტრადიციად დამკვიდრდა საზოგადოებრივი ბიბლიოთეკებისათვის ლიტერატურული კოლექციების ჩუქება. მაგალითად, პოეტმა იოსებ გრიშაშვილმა შოთა რუსთაველის ყველა გამოცემა მოაგროვა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას გადასცა. ამ დღეებში ტიუმენელმა მენავთობეებმა საჩუქრად მიიღეს ცნობილი მწერლების, კულტურის მოღვაწეებისა და მხედართმთავრების ავტოგრაფიანი წიგნები. დიახაც, მისაბაძი მაგალითია!

ПРАВДА
10 ივნისის მოწინავე

ახლა, როცა ყოველი ოჯახი ცდილობს შინ პირადი ბიბლიოთეკის შექმნას, ლიტერატურის ამ უზარმაზარი მარაგის რაც შეიძლება სრული და მაქსიმალური გამოყენება განსაკუთრებული მნიშვნელობის საქმედ იქცა. საიდუმლო არ არის, რომ წიგნები ჯერ კიდევ ხშირად უმოძრაოდ დევს. ხდება ხოლმე, რომ კაცი ყიდულობს წიგნს, და მხოლოდ მისი გარეგნული გაფორმება აინტერესებს, ასე ვთქვათ, ბინის „მორთვა" უნდა, „მოდას" აჰყოლია. ამა თუ იმ პატრონს არ სჭირდება ეს ტომები, მიდის წლები და ხელსაც კი არ ახლებს, ასეთი წიგნები დახურულ ნავსადგურში მდგომ ხომალდებს ჰგავს. მაგრამ წიგნი ხომ მხოლოდ მაშინ ცოცხლობს, როცა მას კითხულობენ.

რა თქმა უნდა, არავინ არ ხელყოფს შინაური ბიბლიოთეკების მფლობელთა უფლებებს, მაგრამ ჩვენი მოქალაქეობრივი საქმეა ჩავუნერგოთ ადამიანებს სხვებთან ურთიერთობის მოთხოვნილება, საკუთარი ლიტერატურული განძეულის გაზიარების, საზოგადოებრივი მიზნებით პირადი ბიბლიოთეკების უკეთ გამოყენების სურვილი. იმისთვის ზრუნვა, რომ შენი ბიბლიოთეკა ღია იყოს ყველასათვის, კეთილშობილური და მაღალზნეობრივი საქმეა.

ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს წიგნის მოყვარულთა მოძრაობას. მათი თაოსნობით შეიქმნა წიგნის მოყვარულთა საზოგადოება, რომელიც 9 მილიონ მუშას, მეცნიერს, კოლმეურნეს, სტუდენტსა და მოსწავლეს — ლიტერატურის მგზნებარე პროპაგანდისტებს, მწერლებთან და ნაწარმოების გმირებთან შეხვედრების ინიციატორებს აერთიანებს. მათვე შექმნეს კლუბ-მაღაზიები და გამოფენები. წიგნის მოყვარულთა მასებში შეაქვთ ბეჭდვითი პარტიული სიტყვა, აიარაღებენ ადამიანებს ისტორიული სიმართლით, მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების ცოდნით. ფართო გაქანება მიენიჭა უბანელთა ინიციატივას: „კულტურის საუნჯე — სოფელს". საზოგადოების წევრები ნებაყოფლობით საწყისებზე ქმნიან თავიანთი პირადი ბიბლიოთეკების კარტოთეკებს, რათა ამ წიგნებით სარგებლობა შეძლონ საზოგადოებრივმა ბიბლიოთეკებმა, მკითხველებმა. წარმატებით ეწყობა საშინაო ბიბლიოთეკების კონკურს-დათვალიერებანი, რაც ხელს უწყობს მკითხველის გემოვნების ჩამოყალიბებასა და დახვეწას.

„საგანძური — ყველას" — აი, მაგალითად, ტაჯიკეთის სსრ ქალაქ ურა-ტიუბეს წიგნის მოყვარულთა ლოზუნგი. ისინი აწყობენ კითხვა-პასუხის საღამოებს, გამოცემათა გამოფენა-ვაჭრობას. სკპ XXV ყრილობის წინ ამ ქალაქის მცხოვრებმა ფარმაცევტმა აკბარ ბობოჯანოვმა თავისი ბიბლიოთეკა, რომელშიც სამი ათასი ტომია, საზოგადოებრიობას შესთავაზა სარგებლობისათვის. ამ თაოსნობას ფართოდ დაუჭირეს მხარი პარტიის საქალაქო კომიტეტმა და წიგნის მოყვარულთა საზოგადოებამ.

ვერ ვიტყვით, რომ წიგნის მოყვარულთ ყველგან ასეთ ყურადღებასა და მხარდაჭერას უწევდნენ ადგილობრივი ორგანოები. საზოგადოების ამჟამად მიმდინარე კრებებსა და კონფერენციებზე მოჰყავთ მათი საჭიროებებისა და საზრუნავისადმი უყურადღებო დამოკიდებულების ფაქტები. „ერთ წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში ყაზანში ნაყოფიერად მუშაობდა წიგნის გაცვლის კლუბი, — წერს „პრავდას" მკითხველთა ჯგუფი. — ამ კლუბში ასობით მცხოვრები მოდიოდა. მან დიდი ავტორიტეტი მოიხვეჭა, მაგრამ ამას ანგარიში არ გაუწია საზოგადოების თათრეთის განყოფილებამ და დახურა იგი". რატომ? ამაზე პასუხი არავის გაუცია.

ჩვენს ქვეყანაში ახლა მიმდინარეობს მზადება წიგნის მოყვარულთა საზოგადოების მეორე საკავშირო ყრილობისათვის. მისი აქტივისტების წყალობით ლიტერატურის პროპაგანდის მნიშვნელოვანი გამოცდილება შევიძინეთ. უნდა განვაზოგადოთ ყოველივე ახალი, გამოვიყენოთ მუშაობის ფორმები, რომლებმაც გაამართლეს თავისი დანიშნულება.

გიყვარდეთ წიგნი! — ეს მოწოდება განსაკუთრებით აქტუალურად ჟღერს დღეს. დაე მრავლდებოდეს წიგნის მოყვარულთა არმია.

დამკვრელური შრომის რიგში

ალოობა-79

კომბაინები მინდვრად

სიღნაღი, 11 ივნისი. (საქინფორმის კორ. დ. ბიწაძე). დღეს სოფელ ბოდბისხევის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მხვნელ-მთესველები რესპუბლიკაში პირველნი შეუდგნენ ქერის მკას. კომბაინერები ვასიკო ლეკაშვილი, გოჩა ტუხაშვილი, ილია გელაშვილი, ჩიტო ჯალიაშვილი, თამაზ ტუხაშვილი და სხვები გიგანტური „ველის ხომალდებით" ჰექტარზე 27-28 ცენტნერ მარცვალს ლეწავენ, რაც გეგმით გათვალისწინებულს დიდად აღემატება.

აქ მოსავალს იღებენ სტავროპოლის მხარის იპატოვოს რაიონის მშრომელთა მეთოდით. კოლმეურნეობაში შექმნილია მოსავლის აღებ-სატრანსპორტო რაზმი, რომელიც ხუთი დამოუკიდებელი კომპლექსური რგოლისაგან შედგება. მათზე გაპიროვნებულია 14 კომბაინი „ნივა" და „კოლოსი", 20 ავტომანქანა, ტრაქტორები, წნეხამკრეფები, სათესი აგრეგატები და ა. შ.

გამოცდილი მძღოლები სანდრო ქერიაშვილი, გივი მამუკელაშვილი, თამაზ შიოთნიშვილი და სხვები კომბაინებს გვერდით მიჰყვებიან, ივსება ავტომანქანების ძარა, მერე მარცვალი სწრაფად მიაქვთ საველე კალოზე, სადაც მას წმენდენ ელექტრომანქანების საშუალებით, ახარისხებენ და აბინავებენ.

მომკილ ნაკვეთებში მაშინვე შედიან წნეხამკრეფები. ფრიდონ პავლიაშვილი, რობინზონ ბალიაშვილი და მათი მეგობრები აგრეგატებს შეუფერხებლად ამუშავებენ, ხარისხიანად დაწნეხილი ნამჯა ფერმებთან მიაქვთ და ზვინავენ.

დღისვე დაიწყო ნაწვერალის ხვნა. ეს სამუშაო დაკისრებული აქვთ მექანიზატორებს ოთარ ბიჭიკაშვილს და თამაზ კუსრაშვილს. ნაწვერალზე თესვის დაწყების სიგნალს ელოდებიან. ზურაბ პავლიაშვილის, გოგი კუსრაშვილისა და სხვათა აგრეგატები. მექანიზატორთათვის ნორმალური მუშაობის ყველა პირობაა შექმნილი: მინდორშივე ხდება ტექნიკის გაწყობა საწვავით, მოძრავი სარემონტო ბრიგადა სწრაფად გამოჩნდება იქ, სადაც ტექნიკა შესაკეთებელი ხდება. მექანიზატორებისათვის კალოებზე გაიხსნა საველე სადილო, მინდვრად აქვთ დასასვენებელი ოთახები და ა. შ.

კოლმეურნეობაში თავთავიანი მარცვლეული კულტურები ასაღებია სამი ათას ჰექტარ ფართობზე. აქედან 1.500 ჰექტარზე დაითესება სანაწვერალო კულტურები. მკასა და თესვაზე მომუშავეთათვის დაწესებულია გარდამავალი დროშები, პრემიები, პრიზები, ფასიანი საჩუქრები.

— კოლმეურნეობამ მარცვლეულის სახელმწიფოსათვის მიყიდვის ხუთწლიანი გეგმა შარშან 1000 ტონის გადაჭარბებით შეასრულა, წელს მომავალი ხუთწლედის ანგარიშში კიდევ 3 ათას ტონა პურს დავამზადებთ, — განაცხადა კოლმეურნეობის თავმჯდომარე გ. გელაშვილმა.

სიღნაღელმა მიწათმოქმედებმა, რომლებიც რესპუბლიკაში იპატოვოელთა მეთოდით მოსავლის აღების ინიციატორები არიან, ვალდებულება იკისრეს მოსავალი აიღონ 10-12 სამუშაო დღეში და მარცვლეულის საშუალო ჰექტარობრივი მოსავლიანობა ორი ცენტნერით, ხოლო თითოეული კომბაინერის სეზონური გამომუშავება — 400 ჰექტარამდე გაზარდონ, სახელმწიფოს წლიური გეგმის გადამეტებით მიყიდონ 1000 ტონაზე მეტი მარცვლეული, სანაწვერალო კულტურები დათესონ 4 ათას ჰექტარზე, გეგმაზე 500 ჰექტარით მეტი და მიიღონ თითოეულ ჰექტარზე სულ ცოტა 200 ცენტნერი მწვანე მასა.

საქმემ გამოარჩინა

გეგეჭკორის რაიონში ბოლო წლებში მეჩაიეობასთან ერთად დიდი ყურადღება ექცევა მეცხოველეობას. შარშან მწყობრში ჩადგა სერგიეთის მეცხოველეობის კომპლექსი, სადაც ერთდროულად 400 სული მეწველი ძროხა და 300 ხბო ეყოლებათ. წელს ახალი კომპლექსი 4.650 ცენტნერ რძეს აწარმოებს. 1980 წელს საშუალოდ ძროხაზე სამ ტონამდე რძეს მიიღებენ. გეგეჭკორელთა გადაწყვეტილებაა მეათე ხუთწლედის დავალებები დიდი გადამეტებით შეასრულონ.

სურათზე: ახალგაზრდა მწველავი გულნაზ ჯიქია, რომელიც სერგიეთის მეცხოველეობის კომპლექსში კომკავშირული საგზურით მოვიდა.

ი. ჭოხონელიძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ოფიციალურ ვიზიტად

საბჭოთა სახელმწიფოს მოწვევით 11 ივნისს მოსკოვში ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად ჩამოვიდა ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი მორარჯი დესაი.

ინდოეთის რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სახელმწიფო დროშებით მორთულ ვნუკოვოს აეროდრომზე მ. დესაის დახვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სხვა ოფიციალური პირნი. (საქტასი).

სურათზე: აეროდრომზე შეხვედრის დროს. საქტას-საქინფორმის ტელეფოტო.

ნორვეგიელი ჟურნალისტები თბილისში

თბილისში რამდენიმე დღეს იმყოფებოდნენ სტუმრად ნორვეგიელი ჟურნალისტები ნორვეგიის ჟურნალისტთა კავშირის თავმჯდომარის ტრიუგვე მოეს ხელმძღვანელობით.

ნორვეგიელმა სტუმრებმა დაათვალიერეს თბილისის ღირსშესანიშნაობანი, იყვნენ საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტში, ხელოვნების მუზეუმში, კონიაკის ქარხანაში, ეწვიენ მუზეუმს ღია ცისქვეშ. მცხეთაში სტუმრებმა დაათვალიერეს ჯვრის მონასტერი, სვეტიცხოველი, შეხვდნენ რაიონის მშრომელებს.

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში სტუმრებმა ნახეს უ. შექსპირის „რიჩარდ III", ხოლო ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში — პ. ჩაიკოვსკის „გედის ტბა".

ნორვეგიელმა სტუმრებმა ერთი საღამო გაატარეს რუსთაველის პრემიის ლაურეატის, სსრ კავშირის სახალხო მხატვრის ლადო გუდიაშვილის სახელოსნოში და მოიხიბლნენ მისი დიდი ხელოვნებით. უცხოელი ჟურნალისტები მიიღო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ო. ჩერქეზიამ.

10 ივნისს სტუმრები მოსკოვს გაფრინდნენ.

მოიშველიე დისციპლინის სტატისტიკა!

როცა მატერიალური წარმოების სფეროში შრომის დისციპლინის განმტკიცების საკითხზე ვლაპარაკობთ, უწინარესად კადრების დენადობის საკითხს ვგულისხმობთ. მიმდინარე წლის პირველ კვარტალში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მუშათა დენადობის კოეფიციენტი რესპუბლიკის მრეწველობაში მთლიანად 0,1 პუნქტით შემცირდა, მაგრამ ცალკეულ სამინისტროებსა და საწარმოებში ეს მაჩვენებელი დიდია. მაგალითად, **საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 4 ტრესტის № 138 მოძრავ მექანიზებულ კოლონაში დენადობის კოეფიციენტი 31 პროცენტს შეადგენს, „სპეცმშენის" ტრესტის № 20 მოძრავ მექანიზებულ კოლონაში — 55 პროცენტს, ამავე ტრესტის სპეცუბანში — 41 პროცენტს, ლილოს სახლმშენებელ კომბინატში — 19 პროცენტს, საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 9 ტრესტის № 7 სპეციალიზებულ მოძრავ მექანიზებულ კოლონაში — 45 პროცენტს, ამავე ტრესტის № 10 სპეციალიზებულ მოძრავ მექანიზებულ კოლონაში — 80 პროცენტს, ოჩამჩირის საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო სამმართველოში — 80 პროცენტს, № 2 ტრესტის ზუგდიდის სარემონტო-სამშენებლო სამმართველოში — 74 პროცენტს და ა. შ.**

მეტად დამაფიქრებელია ის ფაქტი, რომ მშენებლობის სამინისტროს № 9 ტრესტის № 21 სპეციალიზებულ მოძრავმექანიზებულ კოლონაში, ჭიათურის საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო სამმართველოსა და საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს № 1 ტრესტის თბილისის სპეცსარემონტო სამშენებლო სამმართველოში მარტო სამი თვის მანძილზე მუშათა დენადობამ 100 პროცენტს გადააჭარბა.

ავტოტრანსპორტში მუშათა დენადობის კოეფიციენტმა მიმდინარე წლის პირველ კვარტალში 6 პროცენტი შეადგინა და გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ერთი პუნქტით გაიზარდა. ცალკეულ ავტოსატრანსპორტო საწარმოებში ეს მაჩვენებელი საშუალოზე უფრო მაღალია.

სოფლის მეურნეობის მუშათა დენადობის კოეფიციენტი შედარებით მცირეა და პირველ კვარტალში ორი პროცენტი შეადგინა. ცალკეულ საბჭოთა მეურნეობებში ეს მაჩვენებელი მკვეთრად განსხვავებულია. მაგალითად, **ციტრუსების რესპუბლიკური გაერთიანების ურეკის საბჭოთა მეურნეობაში დენადობის კოეფიციენტმა 51 პროცენტი შეადგინა, გაერთიანება „საქფრინველმრეწვის" ოჩამჩირის მეფრინველეობის ფაბრიკაში — 45 პროცენტი, მერკულის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში — 39 პროცენტი და სხვა.**

ზემოაღნიშნულ სამინისტროებში, უწყებებში, საწარმოებსა და ორგანიზაციებში, როგორც ჩანს, ცუდად ხორციელდება კადრების შენარჩუნებასთან დაკავშირებული ღონისძიებები.

სამუშაო დროის არასაპატიო მიზეზით გამოწვეული გაცდენები საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის ზემოთ დასახელებულ დარგებში მიმდინარე წლის 1 კვარტალში 75 ათასი კაცდღით, ანუ 16 პროცენტით შემცირდა, სახელდობრ მრეწველობაში — 10 პროცენტით, მშენებლობაში — 20 პროცენტით.

მრეწველობაში სამუშაო დროის დანაკარგები დიდია საქართველოს სსრ მსუბუქი, კვების, ადგილობრივი, საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროებისა და საკავშირო დაქვემდებარების ზოგიერთ საწარმოში.

საქართველოს მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ცხაკაიას ხალიჩების კომბინატში გაცდენილია 904 კაცდღე. მიუხედავად ამისა, არც ერთი დისციპლინის დამრღვევი არ დასჯილა. ანალოგიურ ფაქტებს ვხვდებით საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს „საქჩაის" ჩოხატაურის საწარმოო გაერთიანებაში, „საქკონსერვმრეწვის" მარნეულის საკონსერვო კომბინატში, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს „მშენინდუსტრიის" ტრესტის № 3 რკინა-ბეტონის ქარხანაში და სხვ. ეს მაგალითები იმის დამადასტურებელია, რომ ზოგიერთი საწარმოს ადმინისტრაცია ყურადღებას არ აქცევს დისციპლინის განმტკიცებას.

როგორც გაანგარიშება გვიჩვენებს, სამუშაო დროის ზემოაღნიშნული დანაკარგები რომ არ ყოფილიყო, მიმდინარე წლის პირველ კვარტალში დამატებით 25 მილიონი მანეთის სამრეწველო პროდუქციის გამოშვებას და 1,5 მილიონი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების შესრულებას შევძლებდით.

მიმდინარე წლის პირველ კვარტალში საგრძნობლად განმტკიცდა საგეგმო დისციპლინა, გეგმები უფრო სტაბილური გახდა. თუ 1978 წლის პირველ კვარტალში წლის დამდეგს მიღებული პროდუქციის რეალიზაციის გეგმა სამრეწველო ორგანიზაციათა 3,8 პროცენტს შეეცვალა, მიმდინარე წლის პირველ კვარტალში ეს მაჩვენებელი 2,7 პროცენტამდე შემცირდა, თანაც ამა წლის პირველ კვარტალში სამრეწველო პროდუქციის რეალიზაციის გეგმა ვერ შეასრულა 32 საწარმომ, შარშან პირველ კვარტალში კი 25 ასეთი საწარმო იყო. გეგმების შესრულების დაბალი მაჩვენებლები აქვთ ბზიფის ხის დამმუშავებელ კომბინატს, რომელმაც ხუთი თვის გეგმა მხოლოდ 78 პროცენტით შეასრულა, აჯამეთის საშენ მასალათა კომბინატს — 73 პროცენტით, საგარეჯოს საშენ მასალათა ქარხანას — 91 პროცენტით, გარდაბნის მუყაო-რუბეროიდის ქარხანას — 88 პროცენტი, ორჯონიკიძის მარმარილოს სამმართველოს — 84 პროცენტი, ბორჯომის მინის ტარის ქარხანას — 90 პროცენტი და სხვ.

მნიშვნელოვანი წარმატებებია მიღწეული შრომის ნაყოფიერების ზრდის დარგში. თუ იანვრის თვეში იგი 101,8 პროცენტს შეადგენდა, პირველი კვარტალის შედეგების მიხედვით 105,2 პროცენტამდე გაიზარდა, ხოლო ხუთ თვეში 105,4 პროცენტს მიაღწია. 1978 წლის პირველ კვარტალში შრომის ნაყოფიერების ზრდის დავალება ვერ შეასრულა 171 სამრეწველო საწარმომ, მიმდინარე წლის შესაბამის პერიოდში კი 158 საწარმომ. ამასთან აღსანიშნავია, რომ საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს 32 საწარმოდან შრომის ნაყოფიერების გეგმა ვერ შეასრულა თორმეტმა (37,5 პროცენტი), საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს 53 საწარმოდან — თოთხმეტმა (26,4 პროცენტი), საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის საწარმოო-ტექნიკური უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტის 56 საწარმოდან — ოცდაორმა (39,3 პროცენტი), საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს 34 საწარმოდან — შვიდმა (20,6 პროცენტი).

1979 წლის პირველ კვარტალში 1978 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით უმაღლესი ხარისხის ნიშნით გამოშვებული სამრეწველო ნაწარმის რაოდენობა ორჯერ, ხოლო მისი ხვედრითი წილი 7,9 პუნქტით გაიზარდა;

ზოგიერთმა საწარმომ ვერ შეასრულა ხარისხის ნიშნიანი პროდუქციის გამოშვების გეგმა. **მაგალითად, საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს გორის ბამბეულის კომბინატმა გეგმა 78 პროცენტით შეასრულა, თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატმა — 9 პროცენტით, თბილისის შალის საქსოვმა ფაბრიკამ — 57 პროცენტით, საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს № 2 მექანიკურმა ქარხანამ — 58 პროცენტით, ონის რაისამრეწველო კომბინატმა — 88 პროცენტით, მაიაკოვსკის რაისამრეწველო კომბინატმა — 49 პროცენტით, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს თბილისის ჩაის საწონმა ფაბრიკამ — 93 პროცენტით, სამტრედიის ჩაის საწონმა ფაბრიკამ — 93 პროცენტით და სხვა.**

როგორც სტატისტიკური მონაცემებიდან ჩანს, პროდუქციის რეალიზაციის გეგმა ხელშეკრულებებისა და ვალდებულებების შესრულებასთან ერთად, მიმდინარე წლის 4 თვეში ვერ გაანაღდა 149 სამრეწველო საწარმომ. ასრულებს რა საერთო გეგმას, ზოგიერთი საწარმო ვერ უზრუნველყოფს პროდუქციის მიწოდებას ხელშეკრულებებისა და განრიგის მიხედვით. ასეთ საწარმოთა რიცხვი დიდია საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროში — 25, საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროში — 20, საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროში — 19, ასევე საკავშირო დაქვემდებარების — 52 საწარმოში და ა. შ.

თბილისის № 1 მექანიკურმა ქარხანამ სხვადასხვა ორგანიზაციას ვერ მიაწოდა 107 ათასი მანეთის პროდუქცია, მათ შორის სოფლის მეურნეობისათვის საჭირო 4 ათასი მანეთის ინვენტარი და 66 ათასი მანეთის რკინა-კაეული; თბილისის რეზინ-ტექნიკურ ნაკეთობათა ქარხანამ სამეურნეო ვაჭრობას ვერ მიაწოდა 459 ათასი მანეთის პროდუქცია, „ფეხსაცმელვაჭრობას" — 52 ათასი მანეთის, „სპორტვაჭრობას" — 37 ათასი მანეთისა და „საქგალანტერიას" — 406 ათასი მანეთის ნაწარმი.

რესპუბლიკაში ბოლო დროს დიდი ყურადღება ექცევა საფინანსო დისციპლინის განმტკიცების საკითხს. ამასთან მთელმა რიგმა საწარმოებმა და ორგანიზაციებმა მიმდინარე წლის პირველ კვარტალში დიდი რაოდენობით არამწარმოებლური დანახარჯები დაუშვეს, რამაც შესაბამისად გაზარდა თვითღირებულება: მრეწველობის დარგში — 1627 ათასი მანეთით, მშენებლობის დარგში — 339 ათასი მანეთით, სოფლის მეურნეობაში — 33 ათასი მანეთით. სულ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ძირითად დარგებში გაწეულია 1999 ათასი მანეთის არამწარმოებლური დანახარჯები, 1978 წლის პირველ კვარტალში კი ეს ციფრი 1712 ათას მანეთს შეადგენდა.

საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს საწარმოებში არამწარმოებლურმა ხარჯებმა 418 ათასი მანეთი შეადგინა, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს საწარმოებში — 198 ათასი მანეთი, საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საწარმოებში — 194 ათასი მანეთი და ა. შ. ასევე დიდია ეს ხარჯები საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს სამშენებლო ორგანიზაციებში, „საქმთავარმონტაჟსპეცმშენში", სოფლის მეურნეობის სამინისტროს საბჭოთა მეურნეობებში და სხვ.

როგორც საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მონაცემებიდან ჩანს, რესპუბლიკის სამინისტროებმა, უწყებებმა, საწარმოებმა და ორგანიზაციებმა ბევრი რამ უნდა გააკეთონ იმისათვის, რომ ყველა საწარმოში, საქმიანობის ყველა რგოლში მაქსიმალურად განმტკიცდეს შრომის, საგეგმო, სახელშეკრულებო და საფინანსო დისციპლინა.

რ. ბასარია,
საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსი.

შრომის დისციპლინა 1979 წლის პირველ კვარტალში

	მუშათა დენადობის პროცენტი	დროის დანაკარგები ყველა მიზეზით ერთ მუშაკზე (კაცდღეები)	მათ შორის მიზეზებით		დათხოვნილია მუშაკი გაცდენებისა და დისციპლინის სხვა დარღვევისათვის
			გაცდენები	მთელდღიანი და ცვლიანი მოცდენები	
საავტომობილო გზების სამინისტრო	4,7	0,23	—	—	2
საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო	3,9	0,65	0,05	0,50	215
წყალთა მეურნეობისა და მელიორაციის სამინისტრო	18,7	0,03	—	—	7
დამზადების სამინისტრო	7,3	0,85	0,17	0,05	11
საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრო	14,4	0,28	0,10	0,05	157
მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო	4,8	1,29	0,37	0,52	481
ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტრო	4,7	0,39	0,05	0,21	88
სატყეო მეურნეობის სამინისტრო	7,6	0,08	0,01	0,02	2
ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო	6,5	0,91	0,10	0,42	28
სასოფლო მშენებლობის სამინისტრო	10,2	0,30	0,06	0,12	88
მშენებლობის სამინისტრო	5,8	1,52	0,39	0,86	444
საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო	7,2	1,77	0,66	0,94	99
კვების მრეწველობის სამინისტრო	7,6	0,78	0,18	0,24	216
ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო	7,1	1,37	0,11	0,85	17
საქმთავარმონტაჟსპეცმშენი	8,3	0,95	0,44	—	29
გაზიფიკაციის მთავარი სამმართველო	19,5	0,20	0,02	—	6
გამომცემლობის სახელმწიფო კომიტეტი	7,0	1,76	0,14	1,09	—
სოფლის მეურნეობის საწარმოო-ტექნიკური უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტი	11,6	0,86	0,09	0,49	31
ტრესტი „ინჟმშენი"	13,6	0,02	0,01	—	3
საკავშირო დაქვემდებარების საწარმოები (სულ)	5,1	0,50	0,18	0,09	998

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

ამხ. კ. მ. ჯემუხაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობისათვის, რესპუბლიკის ჩაის მრეწველობის განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ა. ნ. ბახის სახელობის ლენინის ორდენოსანი ბიოქიმიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი კონსტანტინე მელიტონის ძე ჯემუხაძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 8 ივნისი.

ჩვენს დიად სამშობლოში

საბჭოეთის ახალი ამბები

● **ვოროშილოვგრადი.** დონბასის ქალაქ სტახანოვის — სტახანოვური მოძრაობის ქალაქის ეკრანებზე გამოვიდა ფილმი „გმირობის დაბადება". ფილმი შექმნა გორკის სახელობის ადგილობრივი კულტურის სასახლის სახალხო სტუდიამ. ფილმის სანახავად პირველი მოსაწვევი ბარათები მიიღეს იმათ, ვინც სახელოვანი თაოსნობის სათავეებთან იდგა. ფილმში ასახულია ჩვენი ქვეყნის პირველი ხუთწლედები და დღევანდელობა, რაც დაკავშირებულია ერთმანეთთან. ხუთწლედებმა თანამედროვე ბაზა შეუქმნა საბჭოთა ქვანახშირის მრეწველობას. ახლა აუზში საწვავის მეტ ნაწილს მექანიზებული კომპლექსებით იღებენ.

◆ **ჩებოქსარი.** უკანასკნელი სამი წლის მანძილზე ჩუვაშეთის დედაქალაქის ლენინის რაიონის სამრეწველო საწარმოებში ერთიორად გაიზარდა ხარისხისნიშნიანი პროდუქციის გამოშვება. წარმატებას ბევრად შეუწყო ხელი პროდუქციის ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემის დანერგვისათვის პარტიის რაიკომთან შექმნილი ტექნიკური პროგრესის ხელშემწყობი საბჭოს თანამიმდევრულმა მუშაობამ. საბჭოს რეკომენდაციით რაიონში გამოყოფილია რამდენიმე მეთაური საწარმო ამ სისტემის დანერგვისათვის. მათ შორის არიან ელექტროაპარატის ქარხანა და გაერთიანება „მრეწველსაწყო", რომელთა ნაწარმის ნახევარი საპატიო ხუთკუთხედით გამოდის.

◆ **გროდნო.** კოლმეურნეობა „საბჭოთა ბელორუსიის" შტატში დაწესდა ახალი თანამდებობა — ფერმების მოწყობილობის მომსახურების ინჟინერი. ინჟინრად დაინიშნა კოლმეურნეობის სტიპენდიანტი, ბელორუსიის სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ინსტიტუტის კურსდამთავრებული სერგი სტოცკი. კადრებისათვის ზრუნვამ შესაძლებელი გახადა მიეღწიათ, რომ ოლქის მეურნეობებში საშუალო რგოლის თითქმის ყველა ქვეგანაყოფს ახლა მეთაურობენ უმაღლესი და საშუალო განათლების მქონე სპეციალისტები.

● **პორხოვი (ფსკოვის ოლქი).** ფსკოვის ოლქის მელიორატორებმა ბრიგადული იჯარის მეთოდით დაიწყეს მუშაობა. შრომის პროგრესული ორგანიზაციის ათვისების პიონერი გახდა პორხოვის მოძრავი მექანიზებული კოლონის კოლექტივი. მან ოლქში ყველაზე მაღალ ტემპს მიაღწია ჭაობის დაშრობის დროს, დამშრობი სისტემის „რუდაკოვოს" მშენებლობის სანორმატივო ვადები ნახევარი თვით შემცირდა. წელს მელიორატორთა 60 ბრიგადამ გადაწყვიტა ზლობინის მეთოდით იმუშაოს.

● **ნიჟნი ტაგილი (სვერდლოვსკის ოლქი).** საგეგმო გამომუშავებას ერთიორად გადააჭარბა გაერთიანება „შახტგაყვანის" ა. შამოვის შახტგამყვანთა ბრიგადამ. აქ 22 დღეში დამთავრდა შახტ „მაგნიტიტოვაიაში" 170-მეტრიანი შტრეკის მომზადება. ახალი საბურღო და სატვირთო ტექნიკის ათვისების, პროფესიათა შეთავსების შედეგად კოლექტივმა ხუთწლედის დამდეგიდან მეტი ქანი ამოიღო, ვიდრე მთელ წინა ხუთწლედში. (საკდესი).

პარტიული ქრონიკა

◆

კადრების სწავლება

გორი. (საკ. კორ.). პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების ერთწლიანი სკოლის მორიგი მეცადინეობა, რომელიც ამას წინათ აქ გაიმართა, მიეძღვნა პარტიული მშენებლობის, პოლიტიკური და ეკონომიკური განათლების ქსელში მუშაობის ორგანიზაციის საკითხების შესწავლას.

სკოლის მეცადინეობაზე მოხსენება „მუშაობის ლენინური სტილი" წაიკითხა ვ. ი. ლენინის სახელობის სახელმწიფო მუზეუმის თბილისის ფილიალის დირექტორმა ფ. მახარაძემ; მსმენელთა წინაშე მოხსენებით წარდგნენ საზოგადოებრივი მეურნეობების პარტიული კომიტეტის მდივნები, იდეოლოგიური დარგის მუშაკები. სკოლის მეცადინეობის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგის მოადგილემ მ. დანელიამ.

აქტივის სემინარი

ზესტაფონი. (საკ. კორ.). გაიმართა პირველადი, საამქრო, საუბნო, საბრიგადო პარტიული ორგანიზაციების მდივნებისა და პარტიული ჯგუფების ხელმძღვანელთა სემინარი, რომლის მონაწილეებმა მოისმინეს მოხსენებები: „კონტროლი და შესრულების შემოწმება პარტიულ ორგანიზაციაში", „სამრეწველო-სატრანსპორტო და სამშენებლო პარტიული ორგანიზაციების ამოცანები წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის ბრძოლაში", „საამქრო ორგანიზაციების მუშაობის ძირითადი საკითხები და მუშაობის დაგეგმვა", „პარტიული ჯგუფების საქმიანობის ფორმები და მეთოდები".

სემინარის მონაწილეებს მუშაობის გამოცდილება გაუზიარეს შორაპნის ელექტროელემენტების ქარხნის პარტბიუროს მდივანმა ჯ. სახეჩიძემ, როდინოულის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის პარტბიუროს მდივანმა გ. ლილუაშვილმა და სხვებმა.

ეფექტიანობის ასამაღლებლად

ორჯონიკიძე. („კომუნისტის" კორ.). საქართველოს კომპარტიის ორჯონიკიძის რაიკომმა გამართა თეორიული კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა პროდუქციის ხარისხის მართვის მეცნიერული ორგანიზაციის საკითხებს. „სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაში რაიონის პირველადი პარტიული ორგანიზაციების ამოცანების შესახებ" მოხსენება გააკეთა პარტიის რაიკომის მეორე მდივანმა ჰ. შარიქაძემ.

კონფერენციის მონაწილეებმა მოისმინეს აგრეთვე მოხსენებები მარელისის გრეხილი ავეჯის ფაბრიკაში ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემის სრულყოფის, ორჯონიკიძის ღვინის საწარმოო გაერთიანებაში პროდუქციის ხარისხის მართვის ზოგიერთ აქტუალურ საკითხზე.

დეპუტატი და ცხოვრება

როცა კომისია იღვწის

იყო დრო, როცა ყვარლის რაიონის სოფელ გავაზის საექიმო უბნისა და საავადმყოფოს შესახებ საყვედურის მეტს ვერაფერს მოისმენდით. ეს საყვედური ხშირად სოფლის ფარგლებს სცილდებოდა და რაიონის ხელმძღვანელ ორგანოებამდეც აღწევდა. მართლაც, გავაზელ კაცს, თითი რომ ასტკივებოდა, რაიონის ცენტრში გარბოდა, პირველი საჭიროების მედიკამენტებიც კი სოფლის გარეთ ჰქონდა საძებნელი.

სულ სხვა მდგომარეობაა დღეს გავაზში. სოფლის მშრომლები უმალ ბურთს ჩასჩრიან პირში იმათ, ვინც მათი ჯანმრთელობის დაცვის სადარაჯოზე მდგომ 5 ექიმსა და 14 ექთანს აუგად მოიხსენიებს.

— სასაყვედურო აღარაფერი გვაქვს გავაზელი სამედიცინო პერსონალის მიმართ. მათი მაგალითი იმაზე მეტყველებს, თუ რა შეუძლია პატიოსან შრომას, გარჯას. დავეხმარეთ, თვითონაც მოინდომეს, იშრომეს და შედეგიც სასურველი აღმოჩნდა. საყვედურები კმაყოფილების სიტყვებით შეიცვალა, — გვეუბნება სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ზურაბ რევაზიშვილი.

მაგრამ ამ მონდომებას, შრომასა და გარჯას სადღაც ედო სათავე...

ადგილობრივი საბჭოების საქმიანობა, ავტორიტეტი და ძალა მათი ბრძოლისუნარიანობაა, დეპუტატები და აქტივი კი ამ ბრძოლის სათავეში არიან. დეპუტატთა მუშაობის მრავალი ფორმა, სტილი და მეთოდი არსებობს. დიდი როლი ეკისრებათ მუდმივ კომისიებს, რომლებიც გაბედულად უსწორებენ თვალს სიძნელეებს და დღენიადაგ ზრუნავენ საბჭოების წინაშე დასახული პრობლემების გადაჭრისათვის. ერთ-ერთი ასეთთაგანია გავაზის სასოფლო საბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივი კომისია.

საოქმო მეურნეობა სასოფლო საბჭოს აღმასკომის მუდმივი კომისიების მუშაობის სარკეა. მასში მთელი სიგრძე-სიგანით არის ასახული ამ კომისიების საქმიანობა — რა არის გაკეთებული და რა არის გასაკეთებელი, თითოეული წევრის ცოდნა და უნარი, დავალების შესრულება. ამის უტყუარ მაგალითს იძლევა გავაზის სასოფლო საბჭოს აღმასკომის მუდმივი კომისიის სამუშაო გეგმა, სხდომის ოქმები.

მუდმივი კომისიის სამუშაო გეგმა სრულყოფილად მოიცავს მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის საჭიროებებს. აი ზოგიერთი მათგანი: სოფლის საუბნო საავადმყოფოსა და აფთიაქის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოწყობა, ერთ წლამდე ასაკის ბავშვთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესწავლა, მშრომელთა დისპანსერიზაცია, ინფექციურ დაავადებებთან ბრძოლის ღონისძიებანი, მოსწავლეთა და საბავშვო ბაღის აღსაზრდელთა სისუფთავე და აცრები, საავადმყოფოსა და საბავშვო ბაღში კვების სრულყოფა, პროფილაქტიკური ღონისძიებანი, დაავადებებთან და საწარმოო ტრავმატიზმთან ბრძოლა, საკოლმეურნეო ფერმის მუშაკთა სამედიცინო მომსახურება, პენსიონერ კოლმეურნეთა შრომისა და ყოფაცხოვრების პირობების შესწავლა-გაუმჯობესება და სხვა.

საკითხის შესწავლასა და მომზადებაში მონაწილეობს მუდმივი კომისიის ყველა წევრი და აქტივისტი. მას შემდეგ, რაც კომისიის თავმჯდომარე გაანაწილებს ფუნქციებს, თითოეულს მიუჩენს სამოქმედო უბანს და დაწვრილებით რჩევა-დარიგებას მისცემს, იწყება აქტიური მუშაობა — მოწმდება ქუჩები, კარმიდამოები, სავაჭრო, საზოგადოებრივი კვებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები.

კომისიის სხდომა, რომელსაც ჯანმრთელობის ქსელის მუშაკები და საჭირო შემთხვევაში სასოფლო საბჭოს და კოლმეურნეობის ხელმძღვანელები ესწრებიან, საქმიანი მსჯელობის სარბიელი ხდება.

მიღებული გადაწყვეტილებები ყოველთვის საქმიანი, კონკრეტული და სრულყოფილია. ხშირია შემთხვევა, როცა კომისიის ესა თუ ის საკითხი სასოფლო საბჭოს აღმასკომს განსახილველად შეაქვს თავის სხდომაზე.

კომისიის წევრთა — დეპუტატთა განსაკუთრებული ყურადღების საგანი ყოველთვის იყო და არის ავადმყოფთა მკურნალობა და კვება. უკანასკნელ ხანს თითქმის არ ყოფილა შემთხვევა, სოფლის საავადმყოფოს აუცილებელი მედიკამენტები მოჰკლებოდეს.

ბევრი რამ გაკეთდა მოსახლეობის დისპანსერიზაციის მხრივ. აღრიცხვაზეა აყვანილი თითქმის ყველა ავადმყოფი.

მრავალი კოლმეურნეა დასაქმებული მეცხოველეობის ფერმებში და შხამქიმიკატების მოფრქვევაზე. გავაზში წესად იქცა, რომ პროფილაქტიკის მიზნით წელიწადში ორჯერ აუცილებლად შეამოწმონ ამ კოლმეურნეთა ჯანმრთელობა.

წინათ საშუალო სკოლასა და საბავშვო ბაღს გაპიროვნებული ექიმები არ ჰყავდა. ახლა დღე ისე არ გავა, რომ ექიმმა და ექიმის თანაშემწემ სასწავლო აღმზრდელობით დაწესებულებებში არ ინახულონ ბავშვები.

წინათ ყვარლის რაიონის სხვა სოფლებთან შედარებით გავაზი ინფექციურ დაავადებათა კერას წარმოადგენდა. მდინარის შემოგარენი დაჭაობებულია და ახლაც სამედიცინო პერსონალის დიდ ყურადღებას მოითხოვს. აუცილებელია ქუჩებისა და კარმიდამოების წესრიგში მოყვანა, სისუფთავის დაცვა. ამ მიმართულებით დეპუტატები და ჯანმრთელობის დაცვის მუშაკები ენერგიულად იბრძვიან, გაზიდულია ზამთარში დაგროვილი ნაგავი, ნაკელი.

ზაფხულია, დაცხა კიდეც. და გავაზის სასოფლო საბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივ კომისიას თავისი ჩანაფიქრი და გეგმები აქვს. სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების გაუმჯობესების გზით, როგორც ყოველთვის, წელსაც ბოლო უნდა მოუღოს ინფექციურ დაავადებებს, მიაღწიოს მშრომელთა სისტემატურ სამედიცინო შემოწმებას საკოლმეურნეო მინდვრებსა და ბაღ-ვენახებში, მოაწყოს ლექცია-მოხსენებები და საუბრები, განახორციელოს პროფილაქტიკური ღონისძიებანი ტრავმების თავიდან ასაცილებლად.

დ. ლაფაჩიშვილი,
„კომუნისტის" შტატგარეშე კორესპონდენტი.

მიწა — მარჩენალი

ბრძოლა ჭოროხთან

გიაურდაგის მთებში დაბადებული ჭოროხი, სანამ ბარს ჩამოაღწევდეს, ისეთ ძალას იკრებს, რომ უზარმაზარ ლოდებს ბურთივით მოათამაშებს. მისგან ხალხს სიავე მეტი ახსოვს, ვიდრე სიკეთე. წელიწადი ისე არ გავიდოდა, კახაბრისა და გონიოს ველებში არ შეჭრილიყო და გლეხკაცის ნაამაგარი არ გაენადგურებინა. ხალხს მიუღწეველ ოცნებად რჩებოდა კალაპოტში მოემწყვდიათ გაავებული მდინარე. მისი შიშით ბარის მთელი მარჯვენა ნაპირი დაუსახლებელი იყო, სათარეშოდ ჰქონდა გამხდარი ათასობით ჰექტარი ველი.

და აი სახელმწიფომ გადაწყვიტა ბობოქარი მდინარისათვის გზა ჩაეკეტა. ჭოროხის მარცხენა მხარეს მახოს, თხილნარის, ჰარნალის, ახალსოფლის გორაკებია აღმართული. მარჯვნივ ველია გაშლილი. მის გადასარჩენად მახოს ხიდიდან დაიწყო უდიდესი სამუშაოები, ჭოროხთან ბრძოლა „კოლხეთმშენის" აჭარის სამმართველომ გააჩაღა; მოიტანეს მძლავრი ტექნიკა, გრანდიოზულ სამუშაოებში მონაწილეობის მისაღებად მთელი ოლქი ფეხზე დადგა. 15 წლის მანძილზე ასე ნაბიჯ-ნაბიჯ, ზამთარ-ზაფხულ აღულაბებდნენ 4-5 მეტრი სიმაღლისა და სამი მეტრი სიგანის რკინა-ბეტონის კედელს და თხუთმეტი კილომეტრი სიგრძის ჯებირმა რკინის სალტეში მოაქცია თავაწყვეტილი მდინარე. უკვე აღარავის აშინებდა მისი ბობოქრობა, კახაბრის ველი სიცოცხლით აივსო. საფუძველი ჩაეყარა მეცხოველეობის ერთ-ერთ მძლავრ მეურნეობას, ჭოროხისპირას აშენდა ინერტული მასალის დიდი ქარხანა; ახალსოფლის ხიდთან 26 ჰექტარზე ბათუმის თევზჭერის მეურნეობისათვის შეიქმნა ტბორები, სადაც მოშენებულია ზუთხი, კობრი და თევზის სხვა ჯიშები, ველ-მინდვრებზე სიმინდის ყანები აბიბინდა, ბარაქიანი ველი ხალხის სამსახურში ჩადგა.

მაგრამ ჭოროხთან ბრძოლა ამით არ დამთავრებულა.

მახოს კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ლევან მჭედლიშვილმა აქტივი შეკრიბა და გორაკიდან ჭოროხს გადახედა.

— ამ ოხერ მდინარეს მეტისმეტად დიდი კალაპოტი უჭირავს, მეორე ნაპირამდე ერთი კილომეტრი იქნება. ჩვენ სათიბი და საყანე არ გვყოფნის, რა მოხდება, რომ იმ პატარა კუნძულთან გზა ჩავუკეტოთ? ნახევარი კილომეტრი სიგრძის კედელს თუ აღვმართავთ, ოცდაათამდე ჰექტარი მიწა შემოგვემატება.

სამუშაოდ გამოვიდა მთელი სოფელი. დიდი და პატარა, ქვის ყორეს აღულაბებდნენ, მდინარისათვის წართმეულ ფართობში შეჰქონდათ ნოყიერი მიწა.

სამიოდე წლის შემდეგ კი იქ სიმინდისა და ბოსტნის უხვი მოსავალი მოიწიეს. ეს რომ ერგელებმა და თხილნარელებმა ნახეს, ისინიც მახოელთა გზას დაადგნენ. აქ მათ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის აჭარის სამმართველო (მმართველი — ა. ძნელაძე) ამოუდგა მხარში. ხან ერთ უბანზე, ხან მეორე უბანზე დაიწყეს მდინარის შევიწროება, უფრო და უფრო მეტი წაართვეს სათარეშო [illegible] კოლხეთმშენის [illegible] № 3 მოძრავ-მექანიზებული კოლონაც ჩაება და [illegible] შეემატათ 50 ჰექტარი [illegible], თხილნარელებს — 20 ჰექტარი.

აჭარის სუბტროპიკულ ზონაში მიწას ოქროს ფასი აქვს. იქ, სადაც ჰექტარზე 15 ტონა ციტრუსი ან 10 ტონა ჩაი მოჰყავთ, ბუნებრივია, სახნავ-სათესისათვის მიწას ვინღა გაიმეტებს. ამიტომაც ებრძვიან ჭოროხს და ითვისებენ დაჭაობებულ ადგილებს.

მაგრამ ის, რაც ხელვაჩაურის კოლმეურნეობის მშრომელებმა ბოლო ორ წელიწადში გააკეთეს, ნამდვილი სახალხო გმირობა იყო.

— ხელვაჩაურის კოლმეურნეობაზე წინათ კარგს ვერაფერს გაიგონებდით, — გვითხრა პარტიის ხელვაჩაურის რაიკომის პირველმა მდივანმა ს. ინაიშვილმა, — ჩამორჩებოდნენ მიწათმოქმედებასა და მეცხოველეობაში, თავმჯდომარეები იცვლებოდნენ, საქმე კი წინ არ მიდიოდა, მცირე იყო გამომუშავება და ანაზღაურება, ბევრს თვალი გარე საქმეზე და შორეული ბაზრისაკენ ეჭირა. ახლა ხელვაჩაურელ მშრომელებზე საყვედურს ვერ იტყვი, ისეთი მთა „დაიპყრეს" და საგარგულად აქციეს, სადაც წინათ სანადიროდ ასვლა უძნელდებოდათ.

არფაზონის მთის თხემიდან დიდებული სურათი იშლება, მწვანედ ხასხასებს ათობით სოფლის ჩაისა და ციტრუსის პლანტაციები. აი, რა შეუძლია ძიებას, საზოგადოებრივი საქმიანობისადმი სიყვარულს, ერთგულებას!

მ. გორგილაძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

ხარისხის ნიშნით

მაღალ მაჩვენებლებს აღწევს თბილისის საწარმოო გაერთიანების „საქელექტრომანქანის" მეთაური საწარმოს „მიკროძრავას" კოლექტივი. აქ დამზადებული პროდუქციის თითქმის 80 პროცენტი სახელმწიფო ხარისხის ნიშნით გამოდის. ქარხნის მშრომელებმა გადაწყვიტეს ეს მაჩვენებელი 100 პროცენტამდე გაზარდონ.

ამ წარმატებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა პროდუქციის ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემის დანერგვამ, საწარმოს ტექნიკურმა განახლებამ.

საწარმოს მცირე სიმძლავრის ელექტროძრავები და საპატიო ხუთკუთხედიანი სხვა პროდუქცია საბჭოთა კავშირის მრავალ ქალაქში, აგრეთვე ბულგარეთში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, უნგრეთში, იტალიაში, ფინეთში, ნორვეგიაში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და მსოფლიოს ბევრ სხვა ქვეყანაში იგზავნება.

სურათებზე: კონვეიერის საერთო ხედი; ქარხნის ერთ-ერთი საუკეთესო მუშა ციცინო ჩახვაშვილი. იგი სახელმწიფო ხარისხისნიშნიან პროდუქციას უშვებს, ცვლის დავალებებს მნიშვნელოვანი გადაჭარბებით ასრულებს და ხუთწლედის მეოთხე წლის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების მოწინავეა; ქარხანა „მიკროძრავას" სახელმწიფო ხარისხისნიშნიანი პროდუქცია.

ვ. მორგუნოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

თეორიულ და პრაქტიკულ კონფერენციებზე

პარტიის ხობის რაიკომმა და ჟურნალ „პარტიული სიტყვის" რედაქციამ მოაწყეს ერთობლივი თეორიული კონფერენცია თემაზე „სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ" და რაიონის პარტიული ორგანიზაციების ამოცანები". კონფერენცია გახსნა რაიკომის მდივანმა მ. ჭითანავამ, მოხსენება გააკეთა ჟურნალის რედაქტორმა დ. კაკაბაძემ, გამოვიდნენ რაიონული გაზეთის „კომუნიზმის მშენებლობის" რედაქტორი ნ. ბუკია, კომკავშირის რაიკომის მდივანი ნ. ხარბედია, თეორიული სემინარის ხელმძღვანელი ნ. კუკავა და სხვები, რომლებმაც ილაპარაკეს თავიანთ გამოცდილებაზე, მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებზე და მთელი რიგი კონკრეტული საკითხები აღძრეს რაიონში პროპაგანდისტულ-სააგიტაციო მუშაობის გასაუმჯობესებლად.

● ●

შოთა რუსთაველის სახელობის სახალხო უნივერსიტეტმა იყალთოს აკადემიის ნაფუძვარზე მოაწყო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე „სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება 1979 წლის მოსავლის აღების, სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და საკვების უზრუნველყოფისა და 1979-1980 წლის პერიოდში პირუტყვის წარმატებით გამოზამთრების დამატებით ღონისძიებათა შესახებ".

ПАРТИЙНАЯ ЖИЗНЬ

პირველადი პარტიული ორგანიზაცია, პარტჯგუფი ყოველდღიური იდეურ

ახლახან სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ მიღებული დადგენილება „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ" დიდი პრინციპული მნიშვნელობის დოკუმენტია. დადგენილებაში პარტიის XXV ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებების, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლების საფუძველზე ღრმად არის გაანალიზებული პარტიის იდეურ-პოლიტიკური საქმიანობა, დასახულია მისი ყოველმხრივი სრულყოფის, არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის გზები. კიდევ უფრო დამუშავდა კომუნისტური აღზრდის თეორიისა და პრაქტიკის ძირეული პრობლემები. ამ დოკუმენტის თითოეული დებულება გამსჭვალულია პარტიის ზრუნვით საზოგადოებრივი შეგნების, საბჭოთა ადამიანის კომუნისტური იდეურობის, მისი სოციალური და შრომითი აქტიურობის განვითარებისათვის.

ქვეყნის პარტიულ ორგანიზაციებში ამჟამად განიხილავენ და პრაქტიკულად ახორციელებენ პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ დასახულ ამოცანებს. ამ პარტიული დოკუმენტის მთელი ღირსშესანიშნაობის, მასში მოცემული მითითებების, დასკვნებისა და დებულებების უდიდესი მნიშვნელობის საფუძვლიანი გააზრება პარტორგანიზაციათა გამიზნული მოქმედების დიდმნიშვნელოვანი წანამძღვარია.

ცხადია, უპირველესი საქმე ის არის, რომ პარტორგანიზაციის თითოეულმა მდივანმა, არჩევითი ორგანოს წევრმა, თითოეულმა პარტჯგუფორგმა, ყველა კომუნისტმა ღრმად შეისწავლოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება. უნდა ვიზრუნოთ იმისათვისაც, რომ ეს დოკუმენტი განვუმარტოთ მშრომელთა ფართო მასებს. ამ მიზნით იყენებენ სხვადასხვა შესაძლებლობას: მეცადინეობებს პოლიტიკური განათლების სისტემაში, ლექციებსა და საუბრებს შრომითს კოლექტივებსა და საცხოვრებელ ადგილას იდეოლოგიური მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების საკითხებზე. დადგენილების ახსნა-განმარტებას ეძღვნება ერთიანი პოლიტდღეები. ერთიანი პოლიტდღეები, რომლებიც ეწყობა თემაზე „კომუნიზმისათვის ბრძოლის დიდმნიშვნელოვანი ფრონტი", თავის გავლენას ახდენს მილიონობით ადამიანზე.

პარტიის მთელ რიგ საქალაქო და რაიონულ კომიტეტებში პირველადი პარტორგანიზაციების მდივნებთან, მოადგილეებთან და პარტჯგუფორგებთან იმართება სპეციალური შეხვედრები, სემინარები. აქ მსჯელობენ იმაზე, თუ როგორ შეუდგნენ უკეთ პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესრულებას, როგორ ასახონ დადგენილებაში მოცემული ამოცანებისა და მოთხოვნების მთელი წრე ამა თუ იმ პარტორგანიზაციის, პარტჯგუფის პრაქტიკულ საქმიანობაში მათი თავისებურებების შესაბამისად. ასეთი ორგანიზაციული ღონისძიებანი სასარგებლო და საჭიროა, რათა ხორცი შევასხათ ყოველივე იმას, რაც პარტიამ დაგვისახა.

ამის გამო დიდი მნიშვნელობა ენიჭება პირველადი პარტორგანიზაციის კომუნისტთა კრებაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებისა და მისგან გამომდინარე პრაქტიკული ამოცანების შემოქმედებითს, საქმიან განხილვას. ეს კი შესაძლებელია მაშინ, თუ იგი გულმოდგინედ არის მომზადებული, მაქსიმალურად კონკრეტულია, თუ თვითკრიტიკულია ორგანიზაციაში პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობის ანალიზი. ასეთი ანალიზი შეიცავს შეძენილი გამოცდილების შეფასებას, ხარვეზების, ნაკლოვანებების, მათი გამომწვევი მიზეზების გარკვევას და ამავე დროს დაბრკოლებების, სიძნელეების თავიდან აცილების გზების განსაზღვრას. სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში წამოყენებული ამოცანების საერთო კონტექსტიდან ყურადღება უნდა გავამახვილოთ იმ საკითხებზე, რომლებიც განსაკუთრებით საჭირბოროტოა მოცემული ორგანიზაციისათვის, მოცემული კოლექტივისათვის. ეს გულისხმობს როგორც ყოველივე დადებითის მხარდაჭერას, დამკვიდრებას, ისე საქმის გაუმჯობესების ახალ შესაძლებლობათა აქტიურ ძიებასაც, ნეგატიურ მოვლენათა გამიზნულ აღმოფხვრას.

სწორედ საქმიანი, შემოქმედებითი მიდგომა გვაძლევს საშუალებას რაც შეიძლება დასაბუთებულად შევიმუშაოთ თვისებრივად ახალ დონეზე იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის აყვანის მრავალმხრივი ღონისძიებანი. რა თქმა უნდა, ამისათვის უაღრესად საჭიროა რაც შეიძლება ფართოდ გამოვავლინოთ კომუნისტთა აზრი, წინადადებანი კრებაზეც და მისი მომზადების დროსაც.

ყველა თავის მოქმედებაში პარტორგანიზაცია პარტიის მოთხოვნებითა და მითითებებით ხელმძღვანელობს. ამ მოთხოვნათა არსი ის არის, რომ განმტოებული იდეოლოგიური ფრონტის ყველა რგოლი, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის სისტემა მაქსიმალურად შეესაბამებოდეს განვითარებული სოციალიზმის პირობებში ახალი ადამიანის ჩამოყალიბების საჭიროებებსა და შესაძლებლობებს. მშრომელთა შეგნება, კულტურა, ინიციატივა, ორგანიზებულობა და დისციპლინა, იდეური და ზნეობრივი თვისებები, პოლიტიკური სიმწიფე საბჭოთა საზოგადოების ყველაზე მძლავრი, დინამიკური ძალებია, კომუნისტურ აღმშენებლობაში წარმატებათა განმსაზღვრელი ფაქტორებია. სწორედ ეს უდევს საფუძვლად იმასაც, რომ გადაჭრით უარვყოთ და დავგმოთ ყოველგვარი ჯურის იდეები, ცხოვრებაზე შეხედულებები, რომლებსაც გააფთრებით ავრცელებს და რეკლამას უწევს ძირფესვიანად ყალბი, ფარისევლური ბურჟუაზიული პროპაგანდა. პარტიული ორგანიზაციების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა დაეხმარონ ჩვენს ხალხს, რათა დაინახონ მტრული ცილისმწამებლური პროპაგანდის მთელი სიყალბე, დამაჯერებლად და მტკიცედ ამხილონ მისი ვერაგული მეთოდები და ზრახვები.

ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების განმასხვავებელი ნიშანთვისება ის არის, რომ გაიზარდა პირველადი პარტორგანიზაციების, მათი არჩევითი ორგანოების (პარტკომების, პარტბიუროების) როლი და პასუხისმგებლობა კოლექტივებში აღმზრდელობითი მუშაობის დაყენებისათვის. ეს ობიექტური კანონზომიერი პროცესია, რომელსაც განაპირობებს პირველადი პარტორგანიზაციის, როგორც პარტიის საფუძვლის, შრომითი კოლექტივის ბირთვის, მდგომარეობა. შრომითს კოლექტივში, საზოგადოების ამ სოციალურ უჯრედში, მიმდინარეობს ყველაზე არსებითი პროცესები, რომლებიც აყალიბებს ადამიანს. აქ გადამწყვეტწილად იხვეწება მისი ხასიათის ნიშან-თვისებები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება, მისი განხორციელება დიდმნიშვნელოვანი ეტაპია პირველადი პარტორგანიზაციებისა და პარტიული ჯგუფების აღმზრდელობითი როლის შემდგომ ამაღლებაში. მათ ბევრი რამ მოეთხოვებათ და უწინარეს ყოვლისა ის, რომ ყოველდღიური იდეურ-აღმზრდელობითი საქმიანობის ცენტრები იყვნენ. ჯერ კიდევ ბევრი რამ გვაქვს გასაკეთებელი იმისათვის, რომ ამ ტევად ცნებას ყველგან სულ უფრო მრავალმხრივი შინაარსი ენიჭებოდეს.

კოლექტივში იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის უნარიანი დაყენების დიდმნიშვნელოვანი პირობაა სოციალური და კულტურული თვალსაზრისით საბჭოთა ადამიანების გაზრდილი ინტერესებისა და მოთხოვნილებების კარგი ცოდნა, გულისხმიერება, ყურადღება მათი ცხოვრების ყველა მხარისადმი, მოქნილობა, იდეური გავლენის იმ ფორმებისა და მეთოდების გამოყენების უნარი, რომლებიც შეესაბამება მშრომელთა მზარდ მოთხოვნებს, კეთილნაყოფიერ გავლენას ახდენს ადამიანთა გონებასა და გრძნობებზე. უნდა გქონდეს იმის უნარი, რომ მიუდგე კონკრეტულ ადამიანს, დააინტერესო საერთო საქმეებით, სულიერი ღირებულებებით, დაეხმარო, რათა გაიმდიდროს შრომისა და ყოფა-ცხოვრების კულტურა. ერთი სიტყვით, კომუნისტს საქმე აქვს ყველაფერთან, რაც კი გავლენას ახდენს ადამიანთა გრძნობასა და გუნებაგანწყობილებაზე, მათს სოციალურ და შრომითს აქტიურობაზე. აღმზრდელობითი მუშაობა და ცხოვრებისეული პრაქტიკა განუყოფელია. მტკიცე წარმატებებს მაშინ ვაღწევთ, როცა თვით ვითარება, პირობები, რომლებშიც ცხოვრობენ და შრომობენ ადამიანები, ღრმად აღმზრდელობითი ხასიათისაა.

აი, რატომ არის ესოდენ საჭირო, რომ პარტკომები, პარტბიუროები საქმით იყვნენ აღზრდის მთელი საქმის კომპლექსური დაყენების ორგანიზატორები. მხოლოდ ამის საფუძველზე შევძლებთ შევიმუშაოთ მთელი მრავალფეროვანი ძალებისა და საშუალებების, ეკონომიკური, სოციალური და იდეოლოგიური ფაქტორების ურთიერთმოქმედება იდეურ-პოლიტიკური, შრომითი და ზნეობრივი აღზრდის მჭიდრო ერთიანობისა და ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად. განსაკუთრებით გადაუდებელი ხდება აღზრდის ამოცანების კომპლექსური გადაწყვეტის არსებული გამოცდილების აქტიური და გეგმაზომიერი გამოყენება, მისი შემდგომი განვითარება და გამდიდრება.

ამ თვალსაზრისით ბევრი სასარგებლო რამ შეიძინეს მოსკოვის პარტიულ ორგანიზაციებში. კომპლექსურობის ზოგად პრინციპს მათ საწარმოების, დაწესებულებებისა და სასწავლებლების სანიმუშოდ გადაქცევისათვის მუყაითი მუშაობის კონკრეტული ფორმა მიანიჭეს. დიდი მაორგანიზებელი მნიშვნელობა აქვს იმ შემუშავებული მოთხოვნების გამოყენებას, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდნენ სანიმუშო კოლექტივები. მათში ხორცშესხმულია საწარმოო და აღმზრდელობითი მიზნების, კრიტერიუმების ერთიანობა. კრიტერიუმები კონკრეტულია. მათი მეშვეობით ყოველთვის შეგვიძლია შევამოწმოთ საქმის მიმდინარეობა და აღმზრდელობითი საქმიანობის შედეგები.

ქვეყნის ბევრი პარტიული ორგანიზაცია ლენინგრადელთა მაგალითისამებრ წარმატებით იყენებს სოციალურ-ეკონომიკური დაგეგმვის პრაქტიკას, ცხოვრება გვიჩვენებს: იქ, სადაც სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმებს სერიოზულად და დაინტერესებით ამუშავებენ, ასეთი გეგმები აღზრდის მთელი საქმის დაყენებისადმი კომპლექსური მიდგომის რეალიზაციის მართლაც ფრიად ეფექტიანი საშუალება ხდება.

ანდიჟანის ოლქის საწარმოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პარტიული ორგანიზაციები კომპლექსური მიდგომის განხორციელებაში საწარმოო საკითხებთან ერთად დიდ ყურადღებას უთმობენ ყოფაცხოვრებასაც. გეგმაზომიერი მუშაობა მიმდინარეობს მისი კულტურის ასამაღლებლად ამ დიდმნიშვნელოვან სფეროში თავისუფალი დროის გონივრული გამოყენების, ადამიანთა სულიერი ზრდის საუკეთესო პირობების შესაქმნელად. ოლქის პირველადი პარტიული ორგანიზაციები ზრუნავენ იმისათვის, რომ სამეურნეო საქმიანობა აღმზრდელობითს საქმიანობასთან ორგანული კავშირით განიხილებოდეს და ფასდებოდეს. ისინი პასუხს სთხოვენ ყველა დონის ხელმძღვანელებს მისი მდგომარეობისათვის და ამავე დროს ყოველმხრივ ეხმარებიან მათ განივითარონ აღმზრდელის საჭირო ჩვევები.

თანამედროვე პირობებში, და ეს ხაზგასმულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში, პარტიულ ორგანიზაციებს, იდეოლოგიურ აქტივისტებს დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებათ აღმზრდელობითი საქმიანობის შინაარსისა და შედეგებისათვის. ადამიანებთან მუშაობის ახალი ფორმებისა და მეთოდების მუყაითი ძიებისათვის. საქმისადმი შემოქმედებითი, გააზრებული მიდგომა როგორც კოლექტივის პირობებში, ისე მის გარეთ, როგორც მოზრდილ მოსახლეობაში, ისე ახალგაზრდობის სხვადასხვა ჯგუფებში პოლიტიკური, შრომითი, ზნეობრივი აღზრდის წარმატების საწინდარია.

კიროვოგრადის ოლქის ულიანოვკის რაიონის კარლ მარქსის სახელობის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაცია დაბეჯითებით იღვწის, რომ ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული ამოცანები განუყრელი ერთიანობით წყდებოდეს. პარტორგანიზაციის საქმიანობისათვის დამახასიათებელია მრავალმხრივობა, ადამიანებისადმი მომთხოვნელობა აქ შეხამებულია მათი შრომისა და დასვენების კარგ პირობებზე ზრუნვასთან. სოფლის მშრომელთა ცხოვრებაში დამკვიდრდა ახალი საბჭოთა წეს-ჩვეულებანი და ტრადიციები — მოსავლის დღესასწაულები, ქორწინებისა და ახალშობილთა საზეიმო რეგისტრაცია, საბჭოთა არმიაში გაცილება. სოფლის კულტურის სახლში რეგულარულად ეწყობა კითხვა-პასუხის საღამოები, რომლებზეც მშრომელები ხვდებიან კოლმეურნეობისა და რაიონის ხელმძღვანელებს. ყოველივე ეს დადებითს გავლენას ახდენს კოლექტივის ცხოვრებაზე.

დუდინკის ნავსადგურის (კრასნოიარსკის მხარე) პარტიული კომიტეტი და ადმინისტრაცია ბევრჯერ ჩაუფიქრებია იმას, თუ როგორ დაუკავშირონ ერთმანეთს უფრო მჭიდროდ სამეურნეო საქმიანობა და აღმზრდელობითი მუშაობა. როგორ მოიქცნენ, რომ ყოველი სამეურნეო მუშაკი აღმზრდელიც იყოს. გადაწყვიტეს, ჩვეულებრივი სახელდახელო თათბირების გარდა, რეგულარულად მოიწვიონ ხოლმე სამეურნეო ხელმძღვანელები აღზრდის ისეთი სულ სხვადასხვა პრობლემის განსახილველად, რომლებიც ნავსადგურის კოლექტივების წინაშე დგება და აწუხებს მუშაკებს. უკვე იგეგმება ასეთი შეხვედრები, რომლებსაც პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული აქტივისტები ესწრებიან. ისინი სისტემად იქცა და, რაც მთავარია, შესამჩნევ ზემოქმედებას ახდენს სამეურნეო ხელმძღვანელებზე, რომლებსაც ახლა კარგად ესმით, რომ გაცილებით მეტი მოეთხოვებათ არა მარტო გეგმის შესრულებისათვის, არამედ მთელი კოლექტივის ცხოვრებისთვისაც.

ყურადღების ღირსია იმ პარტორგანიზაციების გამოცდილება, რომლებიც ცდილობენ ერთიანი, მჭიდრო ურთიერთკავშირით გადაწყვიტონ აღზრდის საკითხები იქ, სადაც ადამიანი მუშაობს, ისვენებს, ცხოვრობს, ეს ადვილი საქმე არ არის. მაგრამ მისი შესრულება შეუძლიათ იმათ, ვინც უნარიანად უხამებს ერთმანეთს მუშაობის სასარგებლო შინაარსსა და მიზანშეწონილ ფორმებს. ბევრ

რამეს აღწევენ. პარტიული, კომ
კავშირული და პროფკავშირუ
ორგანიზაციები, როცა პოლიტ
კური განათლების სისტემაში მ
ცადინეობასთან ერთად აწყობ
ლექტორიუმებს, ციკლურ კი
ვებს, საინტერესო ადამიანებ
შეხვედრებს, ქმნიან კლუბ
სხვადასხვა ასაკისა და პროფე
ის ადამიანთა ინტერესების შე
ბამისად. იმათ, ვისაც სჭირდე
„მეურვეობა" უწევენ. ასეთ ღ
ნისძიებებს ეტანებიან ადამია
ბი, თუ ეს ღონისძიებანი გამ
რჩევა ღრმა შინაარსით, მაღ
ემოციურობით, და ჩვენი თანამ
დროვეების ფიქრებსა და მისწ
ფებებს, მათს ყოველდღიურ ს
მეებსა და გმირობას გამოხატა
იდეურ-აღმზრდელობითი მ
შაობის მრავალმხრივობა და ს
რთულე განაპირობებს მისი მ
ფიო ორგანიზაციული დაყენებ
ხელმძღვანელობის ფორმებისა
მეთოდების განუწყვეტელი სრ
ლყოფის მნიშვნელობას. ს
ცენტრალური კომიტეტის დად
ნილებაში აღნიშნულია, თუ
ერთმანეთთან დაკავშირებუ
ღონისძიებანი უნდა განხორც
ლდეს ამისათვის.
უმნიშვნელოვანესი ორგა
ზაციული საწყისია მუშაობის
გეგმვა მისი კომპლექსური ხა
თის შესაბამისად. ბოლო წლ
ის მანძილზე დაგეგმვაში შესა
ნევი დადებითი ცვლილებები მ
ხდა, უფრო დასაბუთებული გა
დასახული მოქმედება. ამ
დროს არსებითი ხარვეზებიც
იმჩნევა, ზოგჯერ გეგმები და
ქსულ ღონისძიებათა გრო
ჰგავს, რომლებშიც ყოველთ
არ ჩანს მიზნობრივი დებულ
ესა იგი ის, რის მიღწევა
პარტორგანიზაცია ესწრაფ
გვხვდება ხოლმე ისეთი ხარვეზ
როცა გეგმა მარტოოდენ პარ
ულ კომიტეტში, ბიუროზე, პ
ტიულ კრებებზე განსახილვე
საკითხების ჩამოთვლას სჯერ
ბა. მეორე მხრივ, ისეც ხდ
რომ მუშაობის მხოლოდ ზო
დი მიმართულებანი აღინიშ
სრულიად დაუკონკრეტებე
დაგეგმვას მნიშვნელოვანი ღო
ძიებები, ჩაფიქრება და კო
ტიური აზროვნება სჭირდება.
უწინარეს ყოვლისა, გულისხმ
მიზნების, გზებისა და მათი

იბეჭდება შემოკლებით.

საერთაშორისო ცხოვრება დედამიწის ზურგზე

ქართული კულტურა საზღვარგარეთ

გდრ

«ნატვრის ხე» ბერლინში

ბერლინი, 10 ივნისი. (საქდესი). ქართველი რეჟისორის თ. აბულაძის ფილმი „ნატვრის ხე" დასახელებულია ყველაზე პოპულარულ საზღვარგარეთულ მხატვრულ ფილმებს შორის, რომლებიც გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში უჩვენეს 1978 წელს. კრიტიკოსები აღნიშნავენ მის რეალიზმსა და დიდ აღმზრდელობით მნიშვნელობას, მაღალ შეფასებას აძლევენ მთავარი როლების შემსრულებელთა აქტიორულ ოსტატობას.

შვეიცარია

გამოფენა ჟენევაში

ჟენევა. 11 ივნისი. (საქდესი). აქ გაიხსნა ქართული ხელოვნების გამოფენა. ხელოვნებისა და ისტორიის მუზეუმის დარბაზებში გამოფენილია VII-XIX საუკუნეების ქართული ჭედურობის საუკეთესო ნიმუშები. ჟენევა პირველი ქალაქია საბჭოთა კავშირის ფარგლებს გარეთ, სადაც თავისი საგანძური გაგზავნა საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმმა. მისი ექსპონატებისადმი ინტერესი ძალიან დიდია. გამოფენა უკვე დაათვალიერეს ათასობით ჟენეველმა და შვეიცარიის სხვა ქალაქების მცხოვრებლებმა. მის დამთვალიერებელთა შორის ბევრი უცხოელია.

ბრაზილია

ბუნების ჭირვეულობა

ბრაზილია. 11 ივნისი. (საქდესის კორ.). ბრაზილიის სამხრეთის შტატების 20-ზე მეტი ქალაქის ქუჩებში თოვლის ფიფქები გაჩნდა. ესოდენ უჩვეულო სანახაობამ აღტაცებაში მოიყვანა ტურისტები და ამავე დროს შეაშფოთა მიწათმოქმედნი: სამხრეთ ნახევარსფეროში ვადაზე თითქმის ერთი თვით ადრე დაწყებული სუსხიანი ზამთარი სერიოზულ საფრთხეს უქმნის ყავის, სოიის, ხორბლისა და სოფლის მეურნეობის სხვა კულტურების ნათესებს.

ცნობამ ბრაზილიაში ზამთრის სუსხის შესახებ პანიკა გამოიწვია ნიუ-იორკისა და ლონდონის ბირჟებზე, სადაც ყავის ფასმა სწრაფად მოიმატა. სურნელოვანი მარცვლის მსოფლიოში უდიდესმა მწარმოებელმა შეწყვიტა ამ პროდუქტის ექსპორტი. ბრაზილიის შემდეგ ყავის მიწოდება შეწყვიტა კოლუმბიამ.

ბრაზილიის ყავის ინსტიტუტის პრეზიდენტის ო. რაინიოს თქმით, ზამთრის სუსხმა დააზიანა მილიარდამდე ყავის ხე, რაც საგრძნობ გავლენას მოახდენს მომავალი წლის მოსავალზე. მიაჩნიათ, რომ ბრაზილია ყავის მთელი მოსავლის დაახლოებით მესამედს დაკარგავს. მეტეოროლოგები კი ახალ აცივებას მოელიან.

აშშ

ი. არაფატის წერილი

ნიუ-იორკი. 10 ივნისი. (საქდესი). პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის აღმასკომის თავმჯდომარემ იასირ არაფატმა სთხოვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს ყველა ღონისძიება განახორციელოს იმისათვის, რათა შეაჩეროს ისრაელის აგრესორები და მხარი დაუჭიროს პალესტინელ ხალხს. აქ გავრცელებულ ი. არაფატის წერილში ნათქვამია, რომ ამ ბოლო დროს ლიბანის ტერიტორიაზე ისრაელის სამხედრო-საჰაერო ძალების თავდასხმის შედეგად დაიხოცა და დაიჭრა დიდძალი მშვიდობიანი მცხოვრები — ლიბანელები და პალესტინელები, უმთავრესად ბავშვები, ქალები, მოხუცები. ისრაელის სამხედრო-საჰაერო, სამხედრო-საზღვაო და სახმელეთო ძალების ქვეგანაყოფები კვლავ უტევდნენ ქვეყნის სამხრეთ ნაწილს და ცეცხლს უშენდნენ სოფლებს, ლტოლვილთა ბანაკებს.

ისრაელი ლიდერები, აღნიშნულია წერილში, საქვეყნოდ აცხადებენ, რომ აგრესიას პალესტინელთა და ლიბანის წინააღმდეგ გააგრძობენ და იგი გახდება ისრაელის შეიარაღებული ძალების მუდმივი ამოცანა. ამრიგად, საქმე ეხება პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის, ბანაკებში მცხოვრებ პალესტინელ ლტოლვილთა და ლიბანის სოფლებისა და ქალაქების წინააღმდეგ ოფიციალურად გამოცხადებულ ომს.

გამანადგურებელი ომი, რომელსაც ისრაელის ხელისუფალნი ეწევიან ჩვენი ხალხის წინააღმდეგ, ხაზგასმულია წერილში, დანაშაულია, რომელიც საერთაშორისო კანონებით ისჯება.

საფრანგეთი

გაიხსნა ავიასალონი

პარიზი, 10 ივნისი. (საქდესი). პარიზის ლე ბურჟეს აეროპორტში ოცდამეცამეტეჯერ გაიხსნა ავიაციისა და კოსმოსის საერთაშორისო სალონი. თვითმფრინავმშენებლობის და კოსმოსური სივრცის ათვისების დარგის მსოფლიოში ამ უდიდეს უახლეს მიღწევათა დათვალიერებაში მონაწილეობს 25 ქვეყნის, მათ შორის საფრანგეთის, საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და სხვა სახელმწიფოების 680 ფირმა და საწარმო.

აეროდრომის ბეტონის მინდორზე ჩამწკრივებულია 250-მდე თვითმფრინავი და ვერტმფრინავი პაწაწინა ერთადგილიანი მანქანებით დაწყებული და უზარმაზარი საბჭოთა ილ-86 აერობუსით დამთავრებული, რომელსაც შეუძლია ჰაერში 350 მგზავრი აიყვანოს. მრავალრიცხოვან პავილიონებში გამოფენილია უახლესი საავიაციო და სააეროდრომო მოწყობილობა, კოსმოსური ტექნიკის ნიმუშები.

„კომუნისტის" მიმოხილვა

გასულ კვირას

არჩევნებიც არის და არჩევნებიც...

იტალიაში 3-4 ივნისს ჩატარდა რიგგარეშე არჩევნები, რაც გამოიწვია მთავრობის ქრონიკულმა კრიზისმა და ქრისტიან დემოკრატთა უარმა ითანამშრომლონ კომუნისტებთან მთავრობის დონეზე.

ქვეყნის შიგნით შექმნილი რთული ეკონომიკური ვითარების მიუხედავად, რისთვისაც პასუხისმგებლობა უპირველეს ყოვლისა ქრისტიან დემოკრატებს ეკისრებათ, ამ პარტიამ ძირითადად შეინარჩუნა თავისი პოზიციები დეპუტატთა პალატაში და სენატში. კომუნისტების დანაკლისი ერთგვარად უფრო შესამჩნევი აღმოჩნდა.

ეს უმნიშვნელო ცვლილებები ქვეყნის შიგნით არსებულ პირობებში მძლავრი ანტიკომუნისტური პროპაგანდის, ტერორისტული ორგანიზაციების მიერ „კომუნისტური" (მაოისტური) ფრაზეოლოგიის გამოყენების, ალდო მოროს ტრაგიკული დასასრულისა და სხვა აქციების შედეგია.

მაგრამ ძალთა თანაფარდობა იტალიის პარლამენტში ძირითადად უცვლელი დარჩა, რამაც პესიმისტურად განაწყო ბურჟუაზიული პრესა.

არჩევნების დამთავრების შემდეგ ე. ბერლინგუერმა აღნიშნა: „იტალიის კომუნისტურმა პარტიამ განიმტკიცა პოზიციები და დაამტკიცა, რომ ის არის მუშათა კლასის, ხალხთა მასებისა და იტალიის გადამწყვეტი ძალა". კომუნისტები სხვა პარტიებს სთავაზობენ დემოკრატიული სოლიდარობის მთავრობის შექმნას.

ქრისტიან დემოკრატთა ლიდერმა ანდრეოტიმ განაცხადა, რომ „მისი პარტია თანახმაა კვლავ გამოიყენოს გაფართოებული საპარლამენტო თანამშრომლობის განახლების შესაძლებლობა", რაც იმას ნიშნავს, რომ ეს პარტია მზად არის დაეყრდნოს კომუნისტებს პარლამენტში, მაგრამ არ დაუშვებს მათ მთავრობაში.

ევროპის პარლამენტის არჩევნები, რომელიც სხვადასხვა ქვეყანაში ჩატარდა 7-10 ივნისს, ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო დასავლეთ ევროპის ქვეყნების პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ეგრეთ წოდებული ევროპის პარლამენტი, როგორც ევროპის ეკონომიკური გაერთიანების („საერთო ბაზარი") ერთ-ერთი ორგანო, ახალი პოლიტიკური ინსტიტუტი როდია, მაგრამ ამიერიდან იცვლება მისი ჩამოყალიბების გზები და შემადგენლობა.

აქამდე ევროპის პარლამენტში იყო 198 დეპუტატი (36-36 — ინგლისიდან, საფრანგეთიდან, იტალიიდან და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან; 14-14 — ბელგიიდან და ჰოლანდიიდან, 10 — დანიიდან და 6 — ლუქსემბურგიდან), რომლებსაც ნიშნავდნენ ცალკეული ქვეყნების საკანონმდებლო ორგანოების გადაწყვეტილებით. ამიერიდან კი 410 დეპუტატს (81-81 — ინგლისიდან, საფრანგეთიდან, იტალიიდან და დასავლეთ გერმანიიდან; 25 — ნიდერლანდებიდან, 24 — ბელგიიდან, 16 — დანიიდან, 15 — ირლანდიიდან და 6 — ლუქსემბურგიდან) ირჩევენ პირდაპირი კენჭისყრით.

დასავლეთში კარგახანია აყენებენ „საერთო ბაზარში" შემავალი ქვეყნების პოლიტიკური ინტეგრაციის, ზეეროვნული ორგანოების ჩამოყალიბების საკითხს.

დასავლეთ ევროპაში (ე. წ. „მცირე ევროპა") უკვე არსებობენ ბურჟუაზიული პარტიების გაერთიანებანი — სოციალურ-დემოკრატიული პარტიების კავშირი, ევროპის სახალხო პარტია (აერთიანებს ქრისტიან დემოკრატებსა და მსგავს ორგანიზაციებს), ლიბერალური და დემოკრატიული პარტიების ფედერაცია შექმნილია დასავლეთ გერმანიის თავისუფალი დემოკრატიული პარტიის ინიციატივით).

რაც შეეხება კომუნისტებს, 1978 წლის ივლისში ლუქსემბურგში გამართული საკონსულტაციო შეხვედრის შედეგად მათ გადაწყვიტეს, რომ ყოველი პარტია თვითონ განსაზღვრავდეს საკუთარ პოზიციას.

განსხვავებულია დასავლეთ ევროპის მთავრობათა პოზიციებიც.

ერთგვაროვანი როდი იყო ევროპის პარლამენტის არჩევნებისადმი მოსახლეობის დამოკიდებულებაც: თუ მეტ წილ სახელმწიფოებში ამომრჩეველთა მასა, ჩვეულებრივ, ინერტული იყო (ხშირად კენჭისყრაში მონაწილეობდა ამომრჩეველთა ნახევარზე ნაკლები), საფრანგეთში საარჩევნო კამპანია მწვავე დისკუსიის ვითარებაში მიმდინარეობდა (საკმარისია ითქვას, რომ 81 ადგილზე დასახელებული იყო 972 კანდიდატი).

ასეა თუ ისე, ევროპის პარლამენტი არჩეულია ხუთი წლის ვადით. ძნელი საფიქრებელია, რომ ეს ფაქტი რაიმე გადამწყვეტ გავლენას მოახდენს დასავლეთ ევროპის ეკონომიკაში არსებულ ვითარებაზე.

ეგვიპტეში სადათმა გაითამაშა არჩევნების ფარსი, რათა შექმნას დემოკრატიის ილუზია. საინტერესოა, რომ არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე მან გამოსცა სპეციალური დოკუმენტი, რომლის თანახმად პარტიების არსებობა დაშვებულია მხოლოდ „ეროვნული ერთიანობისა" და „სოციალური ზავის" პრინციპის საფუძველზე; აკრძალულია „კლასობრივ ნიადაგზე" პარტიების არსებობა. გაზეთის გამოცემის უფლება მხოლოდ იმ პარტიას ექნება, რომელსაც სახალხო კრებაში ეყოლება სულ ცოტა 10 დეპუტატი, ხოლო პარტიების მოქმედებას კონტროლს გაუწევს ამისათვის საგანგებოდ შექმნილი პოლიტიკური პარტიების საქმეთა კომიტეტი. როგორც ვხედავთ, ეს აქტი მიმართულია კომუნისტებისა და სხვა პროგრესული ორგანიზაციების წინააღმდეგ.

ამ დეკრეტმა უზრუნველყო სადათის ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის „წარმატება" არჩევნებში და ამავე დროს ორი ათეული ადგილი დაუტოვა „მოთვინიერებულ ოპოზიციას — ეროვნულ-პროგრესული (მემარცხენე) პარტიისა და დამოუკიდებელი დეპუტატების სახით. მაგრამ არჩევნების მსვლელობაში არც მათ აძლევდნენ მოსვენებას: აპატიმრებდნენ, ემუქრებოდნენ, სდევნიდნენ.

ე. მენაბდე,
„კომუნისტის" პოლიტიკური მიმომხილველი.

— აღმზრდელობითი საქმიანობის ცენტრია

ღწევის საშუალებების ზუსტ განსაზღვრას.

გასაუმჯობესებელია ორგანიზაციული მექანიზმის სხვა რგოლებიც. სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში, კერძოდ, დიდი მნიშვნელობა ენიჭება პარტიული კომიტეტების იდეოლოგიურ კომისიებს. ასეთი კომისიები ბევრ პირველადს პარტორგანიზაციაშიც მუშაობს. კონკრეტული პირობების მიხედვით პარტიული ორგანიზაცია წყვეტს ასეთი კომისიის შექმნის საკითხს, პარტიის რაიკომისა და საქალაქო კომიტეტის დახმარებით ამუშავებს მისი საქმიანობის მეთოდებს.

გამოცდილება ადასტურებს აღზრდის, ძალებისა და სახსრების კოორდინაციის საქმისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაძლიერებაში კომისიების ნაყოფიერ როლს. ამ მხრივ საგულისხმოა ქალაქ მინსკის პარტორგანიზაციების მაგალითი. აქ თითქმის ორას პირველადს პარტორგანიზაციაში შექმნილია და უკვე მრავალი წელია მოქმედებს შრომითს კოლექტივებში აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზაციის სისტემა. მისი შემადგენელი ნაწილები გახდა იდეოლოგიური კომისიები, რომლებიც კომუნისტური აღზრდის ძირითად მიმართულებათა რამდენიმე სექტორს მოიცავს.

შრომითს კოლექტივებსა და საცხოვრებელ ადგილებში აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზაციის სისტემა, რომელსაც მინსკელები იყენებენ, საშუალებას აძლევს პარტიულ კომიტეტებს, პარტბიუროებს გააერთიანონ ყველა იმათი მეცადინეობა, ვინც უნდა ზრდიდეს ადამიანებს კომპლექსური მიდგომის საფუძველზე. უაღრესად არსებითია ის, რომ ხელმძღვანელი მუშაკები, სპეციალისტები, არა მარტო პროპაგანდისტის, ლექტორის, პოლიტინფორმატორის როლს ასრულებენ, არამედ აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზატორებიც არიან, პასუხს აგებენ მისი კონკრეტული უბნებისა და შედეგებისათვის. ამიტომ მნიშვნელოვნად გაფართოვდა, ახალი ადამიანები შეემატა იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის აქტივისტების — პარტიული კომიტეტის, პარტიული ბიუროს უშუალო თანაშემწეების შემადგენლობას.

იდეური გავლენის ეფექტიანობა მით უფრო მეტია, რაც უფრო სრულად არის ინფორმირებული პარტიული ორგანიზაცია კოლექტივის ცხოვრების რეალური პროცესების შესახებ, რაც უფრო ღრმად სწავლობს მათ, ავლენს ამა თუ იმ საქმეებისა და ფაქტების სათავეებს, ითვალისწინებს საზოგადოებრივ აზრს. ეს აღმზრდელობითი მუშაობის ხელმძღვანელობის რთული, მაგრამ ფრიად დიდმნიშვნელოვანი და საჭირო ნაწილია.

პარტიულ ორგანიზაციებს აქვთ ამგვარი შესწავლის შესაძლებლობანი. ბევრ დიდმნიშვნელოვან და სასარგებლო რამეს იძლევა მშრომელთა შეკითხვების, კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებების განზოგადება, საამქრო პარტორგანიზაციების კრებებისა და მშრომელთა კრებების ოქმების ანალიზი. საგულისხმო მასალას იძლევა საზოგადოებრივი აზრის შესწავლა და სოციოლოგიური კვლევა. ბევრ დიდ კოლექტივში არის სოციოლოგიური ლაბორატორიები, რომლებმაც მნიშვნელოვანი კვლევის გამოცდილება შეიძინეს. ამოცანა ის არის, რომ ეს სამუშაო გარკვეულ სისტემად მოვაწესრიგოთ, მივანიჭოთ მას პერსპექტიულობა, შევარჩიოთ კომუნისტები, რომლებიც დაეუფლებიან საჭირო ცოდნას.

ყურადღებას იმსახურებს ასეთი საკითხიც. აღმზრდელობითს მუშაობას რომ ეწევიან, პარტიული ორგანიზაციები არცთუ იშვიათად მას ისე აფასებენ, რომ არც კი დაინტერესდებიან ხოლმე იმათი აზრით, ვისადმიც მიმართულია იგი, მაგრამ თუ გვეცოდინება, რამდენად შეესაბამება ღონისძიება ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფების მოთხოვნილებებსა და ინტერესებს, ჩვენ შევძლებთ შევარჩიოთ ისეთი ფორმები, რომლებიც მათ ნამდვილად მოსწონთ, და უარი ვთქვათ არაეფექტიან ფორმებზე.

იყვნენ ყოველდღიური იდეურ-აღმზრდელობითი საქმიანობის ცენტრები — ეს მოთხოვნა დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს იდეოლოგიური და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზატორებს — პარტკომებს, პარტბიუროებს, პარტჯგუფორგებსა და მათს მრავალრიცხოვან აქტივს. სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში კვლავ ხაზგასმით არის აღნიშნული იდეოლოგიური კადრების — პროპაგანდისტების, ლექტორების, მომხსენებლების, პოლიტინფორმატორებისა და აგიტატორების შერჩევის, მომზადებისა და აღზრდის უაღრესად დიდი მნიშვნელობა. მათდამი ყურადღება, მათი კვალიფიკაციის ამაღლება, მასების პოლიტიკური განათლებისა და დარწმუნების ლენინური ხელოვნების დაუფლებაში დახმარება ყველა პარტორგანიზაციის მოვალეობაა.

პირველადს პარტორგანიზაციებს დიდმნიშვნელოვანი როლი ეკისრებათ პარტიის პოლიტიკის არსის პროპაგანდასა და განმარტებაში, იმაში, რომ საგიტაციო-პროპაგანდისტული კადრები საქმის ცოდნით იყენებდნენ დამაჯერებელ ფაქტებსა და ეკონომიკის გაანგარიშებებს. ეს ადამიანთა მსოფლმხედველობაზე ზემოქმედების, ადამიანისათვის წარმოებისა და ქვეყნის ბატონ-პატრონის გრძნობის ჩანერგვის, ყოველივე იმის დამაჯერებელი ჩვენების დიდ შესაძლებლობებს შეიცავს, რაც მიიღო ან მთლიანად ვერ მიიღო საზოგადოებამ, კოლექტივმა, ცალკეულმა მუშაკმა მეურნეობრიობის კონკრეტული პრაქტიკის შესაბამისად.

ადამიანებთან საგნობრივი საუბრის ასეთივე შესაძლებლობანი გამოდგება სხვა საკითხებშიც. კონკრეტულობა და დასაბუთებულობა შრომითი კოლექტივის საქმიანობის სხვადასხვა მხარის გაშუქებაში თეორიასთან, პარტიის პოლიტიკასთან მჭიდრო კავშირით — ეს აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის ჩამოყალიბების ერთ-ერთი ქმედითი საშუალებაა.

ყველა ჩვენს წარმატებას, მათ შორის აღმზრდელობითსაც, საფუძველი ეყრება ძირეულ რგოლებში, შრომითს კოლექტივებში. ცხადია, იზრდება პირველადი პარტორგანიზაციებისა და პარტჯგუფებისადმი პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების დახმარების მნიშვნელობაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების განხორციელებაში.

მათი საქმიანობისა და ხელმძღვანელობის სისტემაში განსაკუთრებით აქტუალური ხდება მეთოდები, რომლებიც შეიცავს პარტიული კომიტეტის უშუალო მუშაობას ამა თუ იმ პირველადს პარტორგანიზაციაში, საჭირო დროის გამოყენებას იმისათვის, რომ სრულყოფის გარკვეულ დონემდე დავამუშაოთ აღზრდის ესა თუ ის უბანი, შევიძინოთ გამოცდილება, შევამოწმოთ იგი და ვუჩვენოთ, თუ როგორ უნდა მივაღწიოთ ამას. რეალური გამოცდილების შეძენაში მონაწილეობა, ამ გამოცდილების განზოგადება, მის საფუძველზე არჩევითი პარტიული აქტივის კადრების სწავლება პარტიული ხელმძღვანელობის უმნიშვნელოვანესი მხარეა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში წამოყენებულია მთელი აღმზრდელობითი საქმიანობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლების ფართო, მეცნიერულად დასაბუთებული პროგრამა. მოვაწყოთ მისი ყოველმხრივი განხილვა, მებრძოლური გამიზნული ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა გავაჩაღოთ დასახული პროგრამის წარმატებით განხორციელებისათვის — ეს თითოეული პირველადი პარტორგანიზაციის უპირველესი საქმეა. იყო ამ დიდი საერთო-პარტიული საქმის ცენტრში — ნიშნავს ყოველმხრივ უწყობდეს ხელს კოლექტივების შეკავშირებას, მასების სოციალური და შრომითი აქტიურობის განვითარებას პარტიისა და სახელმწიფოს პოლიტიკის განხორციელებისათვის ბრძოლაში. იდეური გავლენის მთელი ძალა უნდა მოვახმაროთ მასების მობილიზაციას მიმდინარე წლისა და მთლიანად ხუთწლედის სახალხო-სამეურნეო გეგმების შესასრულებლად. როცა ამაღლებენ იდეოლოგიური და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი საქმიანობის ხარისხსა და ეფექტიანობას, პარტიული ორგანიზაციები ამით ხელს უწყობენ კომუნისტური მშენებლობის ამოცანების წარმატებით გადაწყვეტას.

ჟურნალი „პარტიინაია ჟიზნი"

№ 11, 1979 წ.

ლევან სანიკიძე

ძეგლი ცოცხალი წინაპარია

თავგადასავალი ერის საუნჯისა

საუბარი ორ საათს გაგრძელდა. ყოველივე იყო ნათლად გასაგები და მკვიდრად სარწმუნო: ქართული ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საქმე დღეისათვის არის უპირველესი ეროვნული, პოლიტიკური და სახელმწიფო მნიშვნელობის საქმე; ამიტომ მის მეთაურად და მესაჭედ ჩვენ გვჭირდება კაცი გამორჩეული ავტორიტეტით, პოპულარობით, ცოდნით, გამოცდილებით, პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი და ზნეობრივ-კულტურული მთლიანობით და ღირსეული მამულიშვილობით. ასეთ კაცად საქართველოს ხელმძღვანელობამ მიიჩნია ირაკლი ციციშვილი — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, სამამულო ომის მონაწილე და საბჭოთა კავშირის გმირი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი, ჭეშმარიტი მეცნიერი და ხელოვანი.

უკვე აღარ შეიძლებოდა უარის თქმა ასეთ „დაწინაურებაზე". გადაწყდა. ირაკლი ციციშვილი დაინიშნა ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს უფროსად და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარედ.

ახალმა მაგისტრატმაც ახალი მაგისტრატურის სტრუქტურის პროექტი შეადგინა და წარადგინა. ყველაფერი უყოყმანოდ დაუმტკიცეს.

ას სამოცი საშტატო ერთეული მისცეს უმაღლესი სამეცნიერო-სატარიფიკაციო განაკვეთებით.

ხოლო, აღნაგობა ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოსი ასეთი გახლავთ:

ჯერ, გამოიყოფა სამი სამმართველო (გინა — ქვესამმართველონი) — სამეცნიერო, საპროექტო და საწარმოო.

სამეცნიერო სამმართველოში შედის განყოფილებანი ხელოვნების (ძეგლთა კვლევა, ახალი ძეგლების გამოვლენა, ანალოგიების დადგენა, სარესტავრაციო წინადადებანი), არქეოლოგიის (არქეოლოგიურად იკვლევს და სწავლობს სარესტავრაციო ძეგლების ტერიტორიებს), პასპორტიზაციის (ძეგლების აღრიცხვა, მათი პასპორტების შედგენა, დაცვითი ზონების შექმნა; აქვეა ბიბლიოთეკა, ფოტოთეკა, ნახაზთა არქივი), ბუნების ძეგლთა დაცვის (ბუნების ძეგლთა შესწავლა, მათი გამოყენების განსაზღვრა და ადაპტაცია) და მუზეუმებისა (ძეგლების შენახვა და მოვლა ადგილებზე).

საპროექტო სამმართველოში შედის: პირველი სარესტავრაციო სახელოსნო, მეორე სარესტავრაციო სახელოსნო და ადაპტაციის განყოფილება. აქ ხდება ძეგლების აზომვა, სარესტავრაციო პროექტების შედგენა, თვითონ რესტავრაციისადმი მეთვალყურეობა. აქ არიან კონსტრუქტორები, ხარჯთაღმრიცხველნი, ტექნიკური ზედამხედველნი. ადაპტაციის განყოფილებაში ამუშავებენ ძველი შენობების თანამედროვე ცხოვრებაში გამოყენების პროექტებს.

საწარმოო სამმართველო ასრულებს უშუალოდ სარესტავრაციო სამუშაოებს, აქვს სახელოსნოები ადგილებზე, საქართველოს ყოველ კუთხეში. აქვეა ფერწერის სარესტავრაციო განყოფილება, რომელიც ახდენს მონუმენტური მხატვრობის აღდგენასა და გამაგრებას; ცალკეა სამეცნიერო-კვლევითი ტექნოლოგიური ლაბორატორია, რომელიც ებრძვის ქვის ეროზიას, კედლებზე აღმოცენებულ პარაზიტულ ხავსსა და მცენარეებს, იკვლევს ალიზისა და ქვის გამაგრების საშუალებებს და წარწერებისაგან ძეგლების გაწმენდის ტექნოლოგიას.

, მთავარ სამმართველოს ცალკე ნაკადად შეერთვის ინსპექცია, რომელიც საგანგებოდ მეთვალყურეობს ძეგლთა მდგომარეობას.

რესპუბლიკის ხელმძღვანელობის შუამდგომლობითა და მითითებით, წინანდელთან შედარებით, ძალზე გაიზარდა ფინანსური ბიუჯეტი ძეგლებისათვის. ახალი დადგენილების გამოსვლამდე და სამმართველოს ჩამოყალიბებამდე ძეგლებისათვის გამოყოფილი იყო წელიწადში საშუალოდ ნახევარი მილიონი მანეთი. მაგრამ ხდებოდა ისე, რომ ზოგ წელს იმ ნახევარი მილიონის სრული ათვისებაც „არ ხერხდებოდა".

ხოლო ახალი სამმართველოს დაარსებისთანავე ძეგლებისათვის 1978 წელს დადგინდა ორი მილიონი მანეთი.

მიმდინარე 1979 წლისათვის კი ბიუჯეტი გაიზარდა სამ მილიონამდე ანუ ექვსჯერ.

წელსვე საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა ორჯერ ლატარიის გათამაშება — თითოეული მილიონ ორასი ათასი მანეთის ოდენობით. ეს ფული მთლიანად ძეგლებზე ზრუნვას მოხმარდება.

დიდი ეროვნული და მამულიშვილური საქმეების დღენიადაგ სამზადისშია სახლი № 7 ძნელაძის ქუჩაზე, შესანიშნავი რეზიდენცია, რომელიც რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ უძღვნა ახლად დაარსებულ ძეგლთა სამმართველოს.

— — — —

დასასრული. დასაწყისი იხ. „კომუნისტი", № 129, 130, 131, 132.

ძეგლთა ახალი წუთისოფელი

საქმე სწრაფი აღმასვლით დაიძრა წლობით გაყინული და ჩამკვდარი წერტილიდან.

ეტყობა, უკანმოუბრუნებლად წავიდა დრო ძეგლებისადმი მხოლოდ პლატონური „შორით სიყვარულისა" და მათთვის სინანულის ცრემლთა თხევისა.

ახალი სამმართველოს ჩამოყალიბებიდან ერთი წლის განმავლობაში დასრულდა აღდგენა ოთხმოცამდე დიდმნიშვნელოვანი ძეგლისა. ესენი გახლავთ: სამწევრისი, წირქოლი, თელოვანი, ანჩისხატი, რუისი, ურბნისი, გორის ციხე, ბედია, ბოლნისის სიონი, სვეტიცხოველი, ალავერდი, ყვეტერა, ოზაანი, რკონი, სხალთა, ანტიოქია, მცხეთის მირიანის ეკლესია, გელათი, ატენის სიონი, შიომღვიმე, მარტვილი, ვარძია, ბეთანია, ბიჭვინთა, ქვათახევი, კარდანახი, სვანეთში — ექვსი ეკლესია და ორმოცდაორი კოშკი. (გამახსენდა: სვანები ამბობენ, ერთი კოშკის აშენება ერთი შვილის აღზრდის ბადალიაო).

მიმდინარე 1979 წელს უნდა დასრულდეს აღდგენა ორმოცამდე ძეგლისა, მათ შორის: მცხეთის ჯვარი, შატილი, ნინოწმინდა, თბილისის სიონი, ხერთვისის ციხე, უჯარმა, ბაგრატის ტაძარი, განთიადი, ლიხნი, გონიოს ციხე, ახალგორის (ლენინგორი) სასახლე, ერთაწმინდა, კმოთეს უბანი, კოხტას ციხე, აწყურის ციხე, კაზრეთი, გუდარეხი, ხცისი, არადეთი, დრანდა, ქვემოჭალა.

ძეგლებისათვის პარტიულ-სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობის თავგამოდებულმა ზრუნვამ, ახალი სამმართველოს ერთობ ენერგიულმა მუშაობამ დიდი ენთუზიაზმი გააღვივა ქართულ საზოგადოებრივ წრეებში, გამორჩევით პატრიოტ ახალგაზრდობაში.

ერთბაშად გამოჩნდნენ „ძეგლის მოხალისენი", რომელნიც დიდის გულმხურვალებით სთავაზობენ უანგარო სამსახურს, შრომას და ოფლის ღვრას ძეგლთა რესტავრაციის, შესწავლის, ფიქსაციის, ყოველი „შავი" და „თეთრი" სამუშაოსათვის.

თბილისის უნივერსიტეტის ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭო შეიქნა პირველი თაოსანი ძველი ისტორიისა და კულტურის გამოვლენის, შესწავლისა და აღდგენის საქმეში, სამხრეთ საქართველოს, მესხეთ-ჯავახეთის მხარე ამოირჩიეს „საშეფოდ" ახალგაზრდა მეცნიერებმა ვახტანგ ხმალაძემ, მერაბ ბერიძემ, სერგი მელიქიძემ, იური პაპავამ, ნია ხეცაძემ, ფარნაოზ გუდავაძემ, გიორგი გაგოშიძემ.

ამათ შეუერთდნენ კიბერნეტიკის ინსტიტუტიდან: რაფიელ თხინვალელი, გენადი უდესიანი, ნათელა გელდიაშვილი, ნათელა ბახტაძე, და ფიზიკის ინსტიტუტიდან მერი სადალაშვილი. ვიქტორ სოხაძე და ალეკო ღონღაძე.

ბაგრატი

ყველამ ერთად შემოიკრიბა სტუდენტობა უნივერსიტეტისა, კიბერნეტიკა-ფიზიკის ინსტიტუტებისა და გაუდგნენ გზას სამხრეთ-დასავლეთისაკენ, მთელი ზაფხულის არდადეგები იქ გაატარეს. მუშაობდნენ ტერასების აღდგენაზე, იძიებდნენ და აგროვებდნენ არქეოლოგიურ მასალებს, ავლენდნენ და აღნუსხავდნენ ძეგლებს, შეისწავლეს და სამეცნიერო საბრუნავში მოაქციეს სამი ათას სამას ოცდაათ მეტრ სიმაღლეზე მდებარე ბეთლემის სამონასტრო კომპლექსი ათი ნაგებობით.

მიმდინარე 1979 წლის არდადეგებზე ახალგაზრდა მეცნიერებსა და სტუდენტებს განზრახული აქვთ ბეთლემის არქეოლოგიური გათხრები, სამეცნიერო თვალსაწიერში სურთ შემოიტანონ აქამდე უცნობი ძეგლი — ქაჯვარის ეკლესია (ადიგენის რაიონი). ამავე წელს, ტერასებზე მუშაობასთან ერთად, მონაწილეობა უნდა მიიღონ კოხტას ციხის აღდგენაში (ასპინძის რაიონი).

პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეტალურგიის ფაკულტეტის თანამშრომლების ჯგუფმა ვანო თვალავაძის მეთაურობით საშეფოდ თეთრი წყაროს რაიონის ტბისის სამონასტრო კომპლექსი აირჩია. ვანო თვალავაძე ხშირად თავისი ხუთი შვილის ამალით ეწვევა სამუშაოდ ტბისის ძეგლებს. გზა გაიყვანეს მეტალურგმა მეცნიერებმა, ძეგლები გაწმინდეს, გაამაგრეს და განამტკიცეს. გზის გაყვანაზე მათ დიდად დაეხმარა ადგილობრივ, ალგეთმშენის მთავარი ინჟინერი ზაზა ებრალიძე, თვითონ დიდი მოყვარული და ენთუზიასტი ქართული ძეგლებისა.

სტუდენტთა და ახალგაზრდა „ძეგლის პატრიოტთა" რიგები სწრაფად იზრდება. უკვე შექმნილია ახალგაზრდობის ძეგლთა დაცვის საზოგადოება, რომელმაც შარშან ზაფხულში დიდი სამუშაოები განასრულა ციხე-ქალაქ უჯარმის გაწმენდა-გამაგრებისათვის. მიმდინარე წელს კი ისინი აპირებენ იმუშაონ უშუალოდ უჯარმის ძეგლთა აღდგენაზე. ეს არის რაზმი, სახელად „გორგასალი" — უნივერსიტეტის, პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და სამხატვრო აკადემიის სტუდენტებისაგან.

კულტურის ძეგლთა შეფობას კისრულობენ კომუნალური მეურნეობის სამინისტრო და მთავარგზის სამმართველო. უკვე რამდენიმე წელია მარტყოფის ძეგლებს თავს დასტრიალებს ფინანსთა სამინისტრო, რომელსაც დიდი პატრიოტული გზნებით სათავეში უდგას თვითონ მინისტრი ფარნაოზ ანანიაშვილი.

ნიკორწმინდა

ირაკლი ციციშვილისათვის იმ შეხვედრის დროს უთქვამთ: არ უნდა დარჩეს არც ერთი ძეგლი საქართველოში, შეფი რომ არ ჰყავდეს მუდმივ მომვლელად და მზრუნველადო...

ჭეშმარიტად შესაძლებელია ამ მაღალკეთილშობილური განაზრახის განხორციელება. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მარტო კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოება მოითვლის რვაასი ათასამდე წევრს და, უბრალო არითმეტიკით, ამდენ ხალხს არც კი „უნდა ეყოს" რამდენიმე ათასეული ძეგლი საშეფო-სანაწილედ.

ღმერთმა ინებოს, ეს რომ განხორციელდეს, მართლაც რომ სამუდამოდ დაადგება საშველი ქართულ ნივთიერ კულტურას!..

დიდი იმედი კი გახლავთ — საშეფო მოძრაობა სწრაფად ვითარდება და ფართოვდება. მოდიან მოხალისე-შეფნი, ცალკეულად, მცირე ჯგუფებად, საზოგადოებრივ დასებად.

იწერებიან სოფლებიდან, ქალაქებიდან — მიგვიღეთ, გვაშრომეთ, გვამაშვრალეთ და ჩაგვაყენეთ ძეგლთა სამსახურშიო. თბილისელი ხურო ლუკა მუხიგული სწერს სამმართველოს: „მე ჩემს მოვალეობად მიმაჩნია და, სადაც ხელი მიმიწვდება, ყოველთვის ვცდილობ ძეგლი შევაკეთო. მე სკოლაში არ მივლია, ასოები თვითონ მაქვს შესწავლილი, მაგრამ მესმის, რომ ჩვენ ყველანი მოვალენი ვართ ჩვენი სამშობლოს მამა-პაპათაგან შექმნილ ძეგლებს მოვუაროთ, და რითაც ხელი მიგვიწვდება, ჩვენი სახსრებით შევაკეთოთ. მითხარით, სად მოვიდე, რომ უფასოდ დაგეხმაროთ ძეგლების აღდგენაშიო."

საქართველოს ყოველმა კუთხემ შეიგრძნო და შეიცნო დიდი ეროვნული, პოლიტიკური და ზნეობრივი სიკეთე რესპუბლიკის ხელმძღვანელობის ეგზომ მაღალკულტურული გადაწყვეტილებებისა. წალენჯიხაში, რაიკომის პირველი მდივნის გიორგი ნაჭყებიას ხელმძღვანელობით, სწორედ სამაგალითო მუშაობა გაჩაღდა რაიონში არსებული ნივთიერი ძეგლების მუდმივ მოსავლელად და საზრუნავად. ოცდასამი ძეგლი აღირიცხა წალენჯიხაში, ობუჯში, ჯგალში, ლიაში, საჩინოში, ჯვარში და ფახულანში. კიდევ ბევრი ეკლესია, ნამოსახლარი, „ჯიხა" და გალავანი მოითხოვს გამოვლენას, შესწავლას და შენახვას. ძიება გრძელდება. გაჰყავთ გზები ძეგლებისაკენ, წმენდნენ და ასუფთავებენ ნავსითა და სუროს ღვარჭნილებით შებოჭილ ძეგლებს. რაიონში თითქმის აღარ მოიძებნება ძეგლისადმი „გულგრილად განწყობილი" კაცი. წალენჯიხაში [illegible] საისტორიო-სახელოვნებო საკითხებზე. დაარსდა მუზეუმი საზოგადოებრივ საწყისებზე. დიდი გატაცებით მუშაობს [illegible] კულტურის ძეგლთა საზოგადოება შალვა ლუკავას მეთაურობით.

პროფესორი პარმენ ზაქარაია, ნოქალაქევის არქეოლოგიურ ექსპედიციათა მეთაური, აღფრთოვანებულია ცხაკაიას რაიონის ხელმძღვანელთა დიდი მუშაობით ნივთიერ ძეგლთა მოვლა-პატრონობის საქმეში. რაიკომის პირველი მდივანი ვახტანგ ესვანჯია, მეორე მდივანი რევაზ ფაჩულია, აღმასკომის თავმჯდომარე მურმან ბელქანია და სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი ტარიელ დგებუაძე დღენიადაგ ზრუნავენ მრავალსაუკუნოვანი „ქვის წინაპრების" საპატრონოდ და საპატიოდ. მუდამ ახალი ძეგლის ძიებაში არიან ადგილობრივი ენთუზიასტები არჩილ წირღვავა და ბიჭიკო გვასალია.

სურამის ქედზე წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია იდგა ადრეფეოდალური ხანისა, უპატრონოდ მიტოვებული, სახურავჩამოქცეული და ტანგარღვეული. ადგილობრივმა ძეგლთმოთაყვანემ გიორგი გრიგოლაშვილმა ითავა შეფობა დავიწყებული ძეგლისადმი, სხვებიც აიყოლია — ივანე შუბითიძე, ირაკლი გრიგოლაშვილი და ივანე გრიგოლაშვილი, ძეგლს სახურავი დაჰხურეს, კედლები განუმაგრეს, გარემონი გაუსუფთავეს და წყალიც მიიყვანეს თითქმის ერთი კილომეტრი მანძილიდან.

კულტურის ძეგლთა დასაცავად დიდი აქტიურობით დარაზმეს ადგილობრივი რაიონული საზოგადოებანი მერაბ ქაჯაიამ (ახალციხე), გიორგი პატიაშვილმა (ასპინძა) და მედეა მეზვრიშვილმა (საგარეჯო).

ამას წინათ „კომუნისტის" ფურცლებზე დიდი ადგილი დაეთმო გარეჯის კომპლექსის სამომავლო საქმეებს.

ბევრი კეთილი ჩანაფიქრი განასრულა გურჯაანის რაიკომის პირველმა მდივანმა (ამჟამად სოფლის მეურნეობის მინისტრი) შოთა ეცადაშვილმა. მისი მეთაურობით გურჯაანელებმა შვიდკილომეტრიანი გზა გაიყვანეს შესანიშნავი ვაჩნაძიანის ტაძრამდე, ოცდაერთკილომეტრიანი გზა — ჭერემის ძეგლამდე, მარტო ისტორიული ჭერემის ჩამქრალი კერის ხელახლა გაღვივება და დანთება რად ღირს!

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს კულტურის ძეგლებზე ზრუნვა და მათთვის თავგამოდებული შრომა კასპის რაიონში. რაიკომის პირველი მდივანი ვაჟა კვალიაშვილი, აღმასკომის თავმჯდომარე ვალერიან ეპიტაშვილი და სამუზეუმო საქმეთა გამგებელი, მწერალი გიორგი ხორგუაშვილი ერთ დღესაც არ გაუშვებენ, რომ ისტორიულ-კულტურული ძეგლი არ ნახონ და არ „მოიკითხონ". ამიტომაც არის, რომ კასპში სწორედ „სანიმუშო ძეგლები" ხვდება ყოველ მნახველს.

ახალმა სამმართველომ შექმნა საორგანიზაციო კომიტეტი, რომელიც ხელმძღვანელობს მოხალისე საზოგადოებრივ დასებს, მოამარაგებს სამუშაო იარაღით, დააყენებს სამუშაოზე, მეთვალყურეობს, უზრუნველყოფს უსაფრთხოებას.

მწერლებიც აღიძრნენ ქართულ ძეგლთათვის საზრუნავად. გამომცემლობა „მერანმა" (დირექტორი — ლუკა ხუნდაძე) ახალი წიგნი ჩაუშვა საგამომცემლო წარმოებაში. ეს არის კრებული „ზეკარი", რომელშიც თავს იყრის ოცდახუთი ახალგაზრდა ავტორის ახალი ლექსები, მოთხრობები, თარგმანები. ავტორებს კუთვნილი ჰონორარი ამ წიგნიდან შეაქვთ ძეგლების მოვლა-პატრონობის ფონდში. სულ „ზეკარი" ქართულ ძეგლებს ორი ათას მანეთს უძღვნის.

ბევრი საწარმოო და საზოგადოებრივ-სამეურნეო ორგანიზაცია აცხადებს სურვილს, გაიღოს სახსრები, ჭარბი ფინანსები ძეგლთა სამსახურისათვის. ამ თაოსნობის შესატყვისად სამმართველოს ცალკე აქვს გახსნილი „ძეგლთა დაცვის ანგარიში".

საზოგადოებრივი ორგანიზაციების გარდა, ცალკე ოჯახები და მოქალაქენი არ იშურებენ თავიანთ დანაზოგებს ძეგლთა დასაცავად და მოსავლელად. სრული იმედი გვაქვს, რომ ამ გზით უმოკლეს დროში უფრო მეტი საფინანსო სახსრები დაუგროვდება ძეგლთა დაცვის ფონდს.

ეს კი არის, რომ რატომღაც გვაშინებს თუ გვაფრთხობს ასეთი უჩვეულო და, ერთი შეხედვით, უცნაური ანგარიში: ვთქვათ, წელიწადში (წელიწადში-მეთქი) ერთმა მოქალაქემ ძეგლებისათვის „გადააგდო" ხუთი მანეთი (მართლაც რას წარმოადგენს ხუთი მანეთი წელიწადში და თანაც ეგზომ დიდი სამამულიშვილო საქმისათვის გამეტებული!), მაშინ რესპუბლიკაში მცხოვრები ხუთი მილიონიდან ერთი მილიონის მეტმაც რომ არ გაიმეტოს, ხუთი მილიონი მანეთი მაინც იყრის თავს ძეგლთა დაცვის ფონდში!..

არადა, რატომ არ უნდა ვიღებდეთ ეგზომ უზენაესი ეროვნული მიზნებისათვის ეგზომ უმნიშვნელო და უმტკივნეულო შენაწირს?!

ჩვენ გვგონია, რომ არამცთუ მოწოდება და დადგენილება, უბრალოდ ერთი მინიშნებაც საკმარისი გახდება და... ძეგლთა დაცვის ფონდში ორიოდ დღეში მოიყრის თავს ის „აღთქმული ხუთი მილიონი".

უახლოესი საზრუნავი

ყოველივე ეს, რაც ახლახან მოვიხსენიეთ, წელიწადნახევრის მუშაობის შედეგი გახლავთ.

წინ კი დიდი გზაა, კვლავ მრავალი დაბრკოლებით, საზრუნავით და საფიქრალით დატვირთული.

ადამიანები მოიძებნენ, პროფესიული კადრიც და ენთუზიასტ-პატრიოტთა ლაშქარიც.

ჭირს ხოლმე ტექნიკური მომარაგება. ჭირს კი არა, ადამიანები

(დასასრული მე-4 გვ.)

რედაქტორის სვეტი

გულშეჯერება

დღეს გაზეთი ამთავრებს ქართველი ერის საუნჯის მოკლე თავგადასავალს, ლევან სანიკიძისგან —მოკვლეულსა და მოთხრობილს თავგადასავალს — საუკუნეთა შუა ნიაღსვლით უჩვეულოს, ბედუკუღმართობით ამაღელვებელს, ჟამთა სიავის გამო ტკივილამდე გულის დამწურავს და სულის გამთანგავს, სასიკეთო ბოლოს პერსპექტივით სადღეისოდ იმედისმომგვრელს.

ნარკვევებს, ოღონდ ოდნავ უფრო გავრცობილს, ქართველი მკითხველი წელსვე მიიღებს წიგნად დასტამბულს „კომუნისტის" გამოცემათა გრიფით.

ძეგლთა ისტორიას აღწერილობა თითქოს არ აკლდა. მაგრამ გაზეთი, როგორც ამას იმთავითვე იუწყებოდა, სრულიად ნათელ, კონკრეტულ მიზანს ისახავდა, როცა მეცნიერსა და მწერალს სთხოვა ზედმიწევნით მოკლე ვადაში სწორედ ამ სახით, პუბლიცისტური პირუთვნელობით, მწვავე პრობლემათა წარმოჩინებით, სუსხიანი ამბის დღემდე მოტანით, ახლო წარსულისა და ახლო მომავლის განსჯით წამდგარიყო საზოგადოებრიობის წინაშე.

პატივცემული ავტორი ერთ თვეში ჩაეტია, დღედაღამ დაუშრომლად იღვწოდა და ნაყოფიც ფრიად სასურველი აღმოჩნდა. მადლობა მას, უპირველესად მკითხველისა, ხოლო რედაქციამ მადლობასთან ერთად ახალი შეკვეთა შესთავაზა — მოვიკითხოთ, როგორ სრულდება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობის გადაწყვეტილება თბილისისა და რუსთავის შემოგარენის მწვანე წალკოტად გადაქცევის თაობაზე.

მაინც რა ჰქონდა ჩაფიქრებული გაზეთს, გაცოცხლებული წინაპარი თავისი ავითა და კარგით მკითხველს რომ შეჰყარა?

მცირეთი დავიწყოთ და მივყვეთ ალმა.

1. თუნდაც ის, რომ სავალდებულო საცნობარო მასალა მიეწოდებინა მოსახლეობისათვის ძეგლთა და მათი ამჟამინდელი მდგომარეობის შესახებ. ხომ უნდა იცოდე, რას რა სჭირდება, საქმეს როგორ და რით შეეშველო (თორემ განა ცოტანი შეგვხვედრია ისეთნი, ვისთვისაც ძეგლი აბსტრაქციაა ან სადღეგრძელო, ანდა, უკეთეს შემთხვევაში, სვეტიცხოველი, რადგან მცხეთობას დასწრებია ან ჯვარისწერას).

2. საჯაროდ თქმულიყო, ყველას შეეტყო, რომ ბოლო წლებში ძეგლთა არა მარტოოდენ სიტყვით, არამედ საქმით, სახსრით და შედეგით ქომაგობა ფაქტიურად პარტიისა და მთავრობის პრეროგატივა იყო და რომ ამიერიდან ძალთა გაერთიანება უნდა მოხდეს: პარტია და მთავრობა აღებულ კურსს არ გადაუხვევს, საზოგადოებრიობაც, ამოგება რომ უფრო და უფრო შესამჩნევი, ხელშესახები ექნება, მომეტებულ დაინტერესებას გამოიჩენს, და თავის სიტყვას ქართული ეკლესიაც იტყვის (მას ამის მაგალითად, სხვა თუ არა, რუსული და სომხური ეკლესია გამოადგება).

3. და ყველაზე მთავარი და არსებითი, მომავლისათვის განჭვრეტილი, ხვალინდელი დღისთვის განზრახული და გამიზნული: რაკილა ძეგლთა დაცვის საშვილიშვილო საქმეს საბჭოთა უახლესი კანონისა და ხალხის ნებით სასიკეთო პირი გამოუჩნდა, რაკილა დადგა ჟამი შემობრუნებისა ერთობლივი ღვწით, ცდითა და მეცადინეობით შეიქმნას პირობები წარსულის შეცდომათა გამოსარიცხავად.

ეს კი დაახლოებით ასე უნდა დაისახოს:

კანონის შეუვალობა და მისი საზოგადოებრივ აზრთან შერწყმა;

გარდა მთავრობისაგან დაგეგმილი დაფინანსების ყოველწლიური ათვისებისა, შენირულობათაგან მძლავრი სასახსრო ფონდის დაარსება და მისი გონივრული გამოყენებისათვის მზადყოფნა (წელიწადში 5 მანეთიო, ისე, სიტყვაზე ბრძანა ჩვენმა ავტორმა, თორემ საქველმოქმედო წყაროთ რა დაშრეტს? ამას, სხვათა შორის, იმათთვისაც შევნიშნავ, ვისაც ცოდვებისგან სულის განწმენდა სწადია, ოღონდ არ იცის დაგროვილი ფულის ნაჭარბს, პოლიტეკონომიაში „ზემოგებას" რომ ეძახიან, რა უქნას. ფონდში გადარიცხოს, თუნდაც ურეკლამოდ, გვარის მოუხსენებლად ან შვილის სახელზე ანდერძით — შვილის მოწიფულობაში გაირკვას ქველმოქმედის ვინაობა).

უახლოეს და საშურ განზრახვად უნდა ვაღიაროთ კანონით დაშვებული და მოწონებული ძეგლთა დაცვის საზოგადოების შექმნაც (ისეთივე ლონივრისა, როგორიც რუსეთის ფედერაციას და ბალტიისპირეთს ჰყავთ). ამჟამად არსებული, რატომღაც, მოუქნელსა და ნედლს წააგავს. ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს ღალას იხდიდნენ. ყველა საზრუნავს, მათ შორის პირადულს, რომ მოითავებენ, ძეგლსა და ძეგლის ჟურნალს მაშინ გაიხსენებენ. გადახალისებული, განახლებული საზოგადოების სათავეში კოლექტიური ხელმძღვანელობა უნდა შედგეს ენერგიულ, შემმართებელ და ავტორიტეტიან პიროვნებათაგან. დამჯდარ, პრობლემის ძირში საფუძვლიანად ჩახედულ საზოგადოებას გზა მიეცემა კულტურის ძეგლის ცნება განავრცოს ტყეზეც, ხიდზეც, გზაზეც, რკინის ჭედვისა და ქსოვის წესზეც, ხალხურ ლექსსა და სიმღერაზეც.

თუ საქმეს ამგვარად წავუძღვებით, თუ მიწის ზემოთ რაც შემოგვრჩა, იმას რიგიანად მოვუვლით, შემდეგ მიწის ჭრილშიც უფრო მონდომებული ჩახედვის სურვილიც იმძლავრებს, მივხედავთ ურბნისსა და ბევრ სხვა ალაგს, ხუთი-ექვსი ათასწლეულის წინანდელ საოცარ ამბავს რომ გვამცნობს სამშობლოისას. მადლიერი დაგერჩება მემატიანე.

„ძეგლი ენისა სწორიაო", დაძენს ჩვენი ნარკვევის ავტორი. გარკვეული აზრით, მართებული მტკიცებაა, შემცველი ეროვნულისაც და ზოგადსაკაცობრიოსიც, ინტერნაციონალურისაც.

და რაოდენ დიდი და ღრმაა მადლიერების გრძნობა კომუნისტების პარტიის მიმართ, რომელიც ასე ყურადღებით ეკიდება ენისა და ძეგლის საკითხებს, ინტერნაციონალიზაციის პროცესს განიხილავს ეროვნულის გაბრჯნის პრიზმაში.

მართლაც, მშობლიური ენებისადმი დამოკიდებულება ასე ლენინური გარკვეულობით, გამოკვეთილად და ჩამოსხმულად არავის გამოუხატავს, როგორც ეს ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს აქვს მოცემული რუსული ენის სწავლების საკითხებზე ტაშკენტში ამას წინათ გამართული კონფერენციის მონაწილეებისადმი გაგზავნილ დეპეშაში.

და რა შთამაგონებელია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ", რომლის ერთ-ერთი დებულება წავუმძღვარეთ ნარკვევს — „ძეგლი ცოცხალი წინაპარია".

ამ თვალთახედვით ხალხის გულშეჯერების მართლაც საინტერესო დრო დადგა საქართველოში. რაღა თქმა უნდა, ისევე, როგორც მთელ ჩვენს კავშირში.

თვალსაჩინო ენათმეცნიერი

პროფესორ თინათინ შარაძენიძის დაბადების მე-60 წლისთავის გამო

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ზოგადი ენათმეცნიერების განყოფილების გამგე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თინათინ შარაძენიძე თეორიული ენათმეცნიერების ერთ-ერთი თვალსაჩინო სპეციალისტია საბჭოთა ლინგვისტებს შორის.

თ. შარაძენიძე, პირადი მონაცემების წყალობით, თავიდანვე იქცევდა ყურადღებას და ამიტომაც სავსებით კანონზომიერად უკვე სტუდენტობისას იყო სახელობითი სტიპენდიატი.

მან აკადემიკოს არნ. ჩიქობავას ხელმძღვანელობით საფუძვლიანი მომზადება მიიღო ზოგად ენათმეცნიერებაში და კვლევის ძირითად ობიექტად თეორიული ენათმეცნიერების პრობლემატიკა გაიხადა.

პროფესორ თ. შარაძენიძის მეცნიერული ნააზრევი გამოირჩევა სიღრმით, მოვლენათა შორის შინაგანი ლოგიკური კავშირის გამოვლინებით, დასაბუთების ურყევი არგუმენტით.

მის კალამს ეკუთვნის ორმოცდაათზე მეტი შრომა, მათ შორის ხუთი ვრცელი მონოგრაფია. მისი ფუნდამენტური მონოგრაფია „ენათა კლასიფიკაციის პრინციპები" (1958 წ.) ჯერჯერობით ამ რიგის ერთადერთ გამოკვლევად რჩება ზოგად ენათმეცნიერებაში. ამ ნაშრომში პირველწყაროთა გაღრმავებული შესწავლის საფუძველზე გაანალიზებულია ენათა ყველა არსებული კლასიფიკაცია (გენეალოგიური, მორფოლოგიური, ფსიქოლოგიური, კონცეფციური, სტადიური, ე. წ. „ენათა წრეებისა") და ამავე დროს ყოველი ეს კლასიფიკაცია შეფასებულია ზოგადი ენათმეცნიერების საკვანძო პრობლემატიკასთან დამოკიდებულებისა და შინაგანი კავშირის თვალსაზრისით.

იგი უყურადღებოდ არ ტოვებს თეორიული ენათმეცნიერების არც ერთ ძირითად პრობლემას და ყველა შემთხვევაში თავის პოზიციას ასაბუთებს. მონოგრაფიაში „ენისა და მეტყველების ურთიერთობის პრობლემა" (1974 წ.) იგი დამაჯერებელს ხდის დებულებას, რომ ენა, როგორც აზროვნებისა და კომუნიკაციის საშუალება, ერთ მთლიან ობიექტს წარმოადგენს. პროფესორ თ. შარაძენიძის გამოკვლევაში „თანამედროვე ენათმეცნიერების თეორიული საკითხები" (1972 წ.) განხილულია უახლესი დროის ენათმეცნიერების ძირითადი კონცეფციები. ამ ნაშრომს დამსახურებულად მიენიჭა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის პრემია.

1978 წ. გამოვიდა პროფესორ თ. შარაძენიძის საყურადღებო მონოგრაფია „ი. ა. ბოდუენ დე კურტენეს ლინგვისტური თეორია და მისი ადგილი XIX-XX საუკუნეების ენათმეცნიერებაში". ამ მონოგრაფიამაც სპეციალისტთა მაღალი შეფასება დაიმსახურა და საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული საბჭოთა ენათმეცნიერების თეორიის საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით მიმდინარე წელს გამოიცემა მოსკოვში.

პროფესორ თინათინ შარაძენიძის გამოკვლევებმა დიდად წასწიეს წინ საბჭოთა ზოგადი ენათმეცნიერების თეორია და მათ ავტორს საყოველთაო აღიარება მოუტანეს.

ბუნებრივია, რომ პროფესორ თ. შარაძენიძეს სისტემატურად იწვევენ როგორც საკავშირო, ისე საერთაშორისო კონგრესებზე, კონფერენციებზე, სესიებსა და სიმპოზიუმებზე.

პროფესორი თ. შარაძენიძე საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის „საბჭოთა ენათმეცნიერების თეორიის" საბჭოს წევრია.

მისი ნაშრომები ქვეყნდება როგორც საბჭოთა სამეცნიერო გამოცემებში, აგრეთვე უცხოეთის ლინგვისტურ ჟურნალებსა და კრებულებში. იგი სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტმა მიიწვია უაღრესად მნიშვნელოვანი კოლექტიური, მრავალტომიანი ნაშრომის „მსოფლიოს ენების" თეორიული ნაწილის „მსოფლიოს ენების კლასიფიკაციის თეორიული საფუძვლების" ერთ-ერთ ავტორად. კერძოდ, რედაქციამ დაავალა მას დაეწერა მონაკვეთი „ენათა ნათესაობა და მისი მნიშვნელობა ისტორიული ენათმეცნიერებისათვის". თ. შარაძენიძის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით მომზადდა და გაიმართა თბილისში „საბჭოთა ენათმეცნიერების თეორიის" საკოორდინაციო საბჭოს საკავშირო სესიები „ენისა და მეტყველების რაობის" შესახებ (1971 წ.) და „მნიშვნელობის პრობლემა ენათმეცნიერებაში" (1977 წ.).

პროფესორი თ. შარაძენიძე „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის" VI ტომის ერთ-ერთი რედაქტორია, რისთვისაც მას ლექსიკონის სხვა რედაქტორებთან ერთად 1971 წელს მიენიჭა საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემია მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში. იგი ამჟამად ცხოველ მონაწილეობას იღებს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ძირითადი სამუშაოს „ქართული ენის სისტემატური კურსის" დამუშავებაში.

ოც წელზე მეტია თ. შარაძენიძე წარმატებით ხელმძღვანელობს ენათმეცნიერების ინსტიტუტში ზოგადი ენათმეცნიერების განყოფილებას, რომლის მეცნიერული დონე, მისი ხელმძღვანელის ნაყოფიერი მუშაობის შედეგად, თანამედროვე თეორიული ენათმეცნიერების მაღალ მოთხოვნებს აკმაყოფილებს. იგი დამაარსებელი და რედაქტორია ამ განყოფილების ორგანოსი — „თანამედროვე ზოგადი ენათმეცნიერების საკითხები", რომლის ოთხი ტომი უკვე გამოვიდა, მეხუთე იბეჭდება.

პროფესორი თ. შარაძენიძე ითვლება ერთ-ერთ საუკეთესო პედაგოგად და ახალგაზრდა სპეციალისტთა აღმზრდელად. 1942 წლიდან იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კითხულობს „ენათმეცნიერების შესავლისა" და „ზოგადი ენათმეცნიერების" კურსებს (სხვადასხვა დროს წაუკითხავს ქართული ენისა და სვანურის კურსებიც). დიდი გულისყურით ეკიდება სამეცნიერო კადრების მომზადებას. ენათმეცნიერების ინსტიტუტის ზოგადი ენათმეცნიერების განყოფილება ძირითადად მის მიერ მომზადებული ახალგაზრდა სპეციალისტებით არის დაკომპლექტებული. მისივე ხელმძღვანელობით მომზადდა პირველად რესპუბლიკაში მათემატიკური ლინგვისტიკის სპეციალისტები.

იგი აქტიურად მონაწილეობს რესპუბლიკის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. 1953 წლიდან არის სკკპ წევრი.

პროფესორ თ. შარაძენიძის მრავალმხრივი, ნაყოფიერი მოღვაწეობა დიდად დაფასდა. 1968 წელს მას მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება მიენიჭა. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით 1979 წლის 25 მაისს „საპატიო ნიშნის" ორდენით დაჯილდოვდა.

ჩვენი იუბილარი აღსავსეა შემოქმედებითი ენერგიით. ღრმად გვწამს, რომ იგი ბევრ ახალ ნაშრომს შეგვძენს, აღგვიზრდის საუკეთესო ცვლას და ასახელებს ქართველ ენათმეცნიერთა სკოლას.

ქ. ლომთათიძე,
პროფესორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი.

ძეგლი ცოცხალი წინაპარია



(დასასრული)

„აპირებენ". სალაპარაკოდაც არ ღირს, ჩვეულებრივ საწარმოო მშენებლობებთან შედარებით, რა უმნიშვნელო მასალათა რაოდენობა სჭირდება ძეგლთა რესტავრაციას, შეკეთებას თუ შემაგრებას. ხოლო, მასალების გამანაწილებელი მაგისტრატურა ძეგლებისათვის მის კუთვნილ მასალას ან სრულად არ იძლევა, ან დროზე არ მიაღირსებს.

ძეგლთა სამმართველოს ძალიან უჭირს უტრანსპორტობით. არ ჰყოფნით არც სატვირთო, არც საექსპედიციო მანქანები. სამარცხვინო და წარმოუდგენელი კი არის, რომ საქართველოს მთასა და ბარში გაფანტული ძეგლების შემსწავლელებს, მომვლელებსა და მზრუნველებს მანქანებით „შეჭმულ" ამ საუკუნეში სწორედ მანქანების უკმარობის გამო ეგზომ საშური ეროვნული საქმე უზიანდებოდეთ. სულ ოციოდე მანქანა სჭირდებათ, და შესაბამისმა სამინისტრომ თუ „გამოსწირა", მაშინ ძეგლთა მოვლა-პატრონობისათვის გაწეული შრომის ნაყოფიერება სულ ცოტა სამჯერ მაინც გაიზრდება.

ჯერ კიდევ მრავალი ძეგლი ელის გადაუდებელ დახმარებას და ხსნას ძნელაძის № 7 სახლიდან...

ძლივს დგას ფეხზე და წუთი წუთზე დაცემას ელოდება ქსნის ციხე, მშვენება შუა ქართლის მაგისტრალური გზაკვეთილისა. სასწრაფოდ თუ არ მივეშველეთ, მტვრად ქცევა არ ასცდება განთქმულ „მტვერის ციხეს".

საინგილოში, ბელაქნის ახლოს, ფართო მინდორზე, უპატრონოდ დგას მეთერთმეტე საუკუნის „მადლის ეკლესია", ნახევრად დანგრეული, მახლობელი სოფლების ნახირთა და მწყემსთა სათარეშოდ და „საბილწავად" ქცეული.

ზაქათალას რაიონში, სოფელ ბახთალაში, მეთექვსმეტე საუკუნის ღვთისმშობლის ეკლესია ჩავარდნილია ღლენიადაგ სატანჯველში — ჩხაპნიან, ჩიჩქნიან, ასახიჩრებენ, აოხრებენ.

ხრამის ხეობაში, ლიპარიტების უბნის ორივე ეკლესია მათსავე მცველს საკუთარი ცხვარ-ძროხის ბოსლებად უქცევია.

თეთრი წყაროს რაიონში, სოფელ ქოსალარში, შუაგულ სოფელში აღმართული მეათე საუკუნის ეკლესია უხმასად შეულანძღავთ...

ამას წინათ გაზეთი „კომუნისტიც" მოგვითხრობდა კულტურის ძეგლთა მოვლა-პატრონობის საქმეში თბილისის უნივერსიტეტის ახალგაზრდა მეცნიერის მერაბ ბერიძისა და მის თანადასელთა პატრიოტულ ღვაწლზე. ახლა ჩემ წინ არის მერაბ ბერიძის ცინცხალი ხელნაწერი — „ჯავახეთის ძეგლთა დღევანდელი მდგომარეობა", აქ წარმოდგენილი წერილობითი და ფოტომასალებიდან ირკვევა, რომ ჯავახეთის ორმოცდაცხრა ძეგლი გადაუდებელ დახმარებას ითხოვს — რესტავრაციას, შეკეთებას, შემაგრებას, შენახვას (გადაუდებელს-მეთქი!).

დიდი, რთული, მძიმე შრომა და გარჯა ელის ძეგლთა დაცვის მთავარ სამმართველოს.

პირველი წლის შედეგები მტკიცე საიმედო ძალად მოევლინა ქართულ ძეგლთა სახვალიო და სამერმისო ცხოვრებას.

ეროვნული ნივთიერი კულტურის სამომავლო კეთილდღეობის უტყუარ გარანტიას იძლევა კეთილშობილური, საქმიანი ზრუნვა პარტიისა და ხელისუფლებისა, მტკიცე მხარდაჭერა და თავგამოდება საზოგადოებისა და ყოველი მოქალაქისა, რომელსაც მშობლიური კულტურის დაცვისათვის ბრძოლა თავისი ცხოვრების სისხლხორცეულ, საარსებო საქმედ მიაჩნია.

ერთი სიტყვით, ჩვენ დღეს ყველა ერთად უნდა ვიბრძოდეთ, რამეთუ ქართული კულტურის არც ერთმა ძეგლმა აღარ იხილოს „ლხინი სიკვდილისა" (პატარა კახს უთქვამს ასპინძის ბრძოლის წინ).

მინაწერი

საუკუნეები დაილეწნენ და შემუსრნენ. ისინი კი მოვიდნენ ჩვენამდე, მოწმენი და მღაღადებელნი ჩვენი გარდასული წუთისოფლებისა და წუთისოფლელებისა.

მოვიდნენ ნაომარნი — ქართან და ქარაშოტთან, სიცხესთან და ყინვასთან, წვიმასთან და ღვარცოფთან, ნადირთან და განადირებულ ადამიანთან.

მოვიდნენ დაქანცულნი და ჯანგატეხილნი.

ისინი არიან ჩვენი წინაპრები, ჩვენი შემოქმედნი, ჩვენი მშობელნი, ჩვენი გამზრდელნი.

შველას გვთხოვენ, გვევედრებიან და ჩვენც მივეშველოთ, სწრაფად, ახლავე, ამ წუთს, თორემ დაეცემა, დაიმსხვრევა, მოკვდება და მერე გვიან იქნება...

ნუ შევაქცევთ ზურგს მათ, ჩვენსავე ხორცთა და ძვალთა, ნუ მოვკვეთავთ და ამით ჩვენც ნუ მოვიკვეთებით.

ისინი „მხოლოდ ქვები" როდი არიან. ისინი ქართულ ენაზე „მოლაპარაკე" წინაპრები და მასწავლებლები არიან.

დიახ, ქართული ძეგლი იგივეა, რაც ქართული ენა, რაც ქართული სკოლა.

დიახ, ნამდვილად — ძეგლი ენისა სწორია!

და ეს სამი ნაწევარი ეროვნული ტრიადისა — ენა, სკოლა და ძეგლი ერთმანეთისგან არ განიყოფების, რამეთუ სამივე ერთად არის თვითონ საქართველოს ეროვნული ყოფიერება.

ხოლო საქართველოს ეროვნულ ყოფიერებას დღეს ყველაზე დიდი კეთილშობილი დამცველი და პატრონი ჰყავს — მშობლიური კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფოებრივი წყობილება.

1979 წლის მაისი.

თბილისი.

კლავერდი



დრო ● ამბები ● მოვლენები

ბიოგრაფიას კოლექტივი წერს

ახალი საპატიო ჯილდოები შეემატა ძვირფას რელიკვიებს, რომლებიც ქარხანა „სოხუმხელსაწყოს" ბიოგრაფიას ამშვენებენ. ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემის დათვალიერება-კონკურსში მიღწეული წარმატებებისათვის ხელსაწყოთმშენებლებს მიენიჭათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, პროფსაბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის დიპლომი. „სოხუმხელსაწყოს" კოლექტივმა პირველი კვარტალის მუშაობის შედეგების მიხედვით გაუსწრო თავის ბათუმელ პარტნიორებს შეჯიბრებაში და მოიპოვა პარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტისა და სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის გარდამავალი წითელი დროშა. გარდა ამისა კოლექტივმა გაიმარჯვა მონათესავე საწარმოთა შორის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში პირველი კვარტალის მიხედვით, რისთვისაც სამუდამოდ გადაეცა სსრ კავშირის ხელსაწყოთმშენებლობის სამინისტროსა და დარგობრივი პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

ყველა ეს ჯილდო კოლექტივმა მოიპოვა თავდადებული ბრძოლით წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის. უკვე მეხუთე თვეა ხელსაწყოთმშენებლები ზედიზედ გადაჭარბებით ასრულებენ საპატიო ხუთკუთხედიანი ნაწარმის გამოშვების გეგმას.

დღეს აფხაზეთში

უნარჩენო წარმოება

თუ ადრე მარმარილოს ნაფხვენის მიღების შემდეგ დარჩენილი კირქვის მესამე ფრაქცია წარმოების ნარჩენს წარმოადგენდა, ამჟამად იგი იგზავნება მინისა და ასფალტბეტონის ქარხნებში. ამგვარად სოხუმის მარმარილოს მაღაროთსამმართველოს კარიერებში საწარმოო ნარჩენები გადაიქცა ახალი სახეობის პროდუქციად, რომლის რეალიზაციით საწარმო დამატებით დიდ სახსრებს იღებს.

კავკასიის მთისწინეთის კარიერის ამოქმედების შემდეგ დაიწყო ახალი სახეობის პროდუქციის მარმარილოშერეული კირქვის თეთრი ფილების გამოშვება. ისინი ძალზე ეფექტურია შენობების და ინტერიერების მოპირკეთებისას.

მარმარილოს ფილები იგზავნება ვოლგოდონსკსა და მოსკოვში, დნეპროძერჟინსკსა და დონეცკში, მინსკსა და ვილნიუსში, არხანგელსკში, ბრესტში, ბაქოსა და ქვეყნის მრავალ სხვა ქალაქში.

„მე აფსნის შვილი ვარ"

პოეზიის დღესასწაულად იქცა სოხუმში ცნობილი აფხაზი პოეტის იუა კოღონიას ხსოვნის დღე, რომელიც მის ძეგლთან მოეწყო. აქ მრავლად იყო ყვავილები, გაისმოდა ლექსები. აფხაზური ლირიკული პოეზიის დიდ ოსტატზე დამსწრეთ მოგონებანი გაუზიარა აფხაზეთის სახალხო მწერალმა ივანე პაპასკირმა.

ქალაქმა გულთბილად აღნიშნა პოეტის დაბადების 75 წლისთავი. პოეზიის მოყვარულთა ცხოველი ინტერესი გამოიწვია ცენტრალურ საბავშვო ბიბლიოთეკაში გამართულმა იუა კოღონიას წიგნების საიუბილეო გამოფენამ „მე აფსნის შვილი ვარ". მოსკოვში, თბილისში, სოხუმში აფხაზურ, ქართულ, რუსულ ენებზე გამოცემული მისი წიგნები ნიჭიერი პოეტის შემოქმედების დიდ პოპულარობაზე მეტყველებენ.

ი. გობეჩია,
„კომუნისტის" საკ. კორ.

● ●

აფხაზეთის შავი ზღვის სანაპიროზე თბილი, მზიანი დღეებია. სრული დატვირთვით მუშაობენ სანატორიუმები, დასასვენებელი სახლები, პანსიონატები, ტურისტული ბაზები.



სურათზე: პოპულარული მღვიმე, რომელსაც ყოველდღიურად ორი ათასამდე ტურისტი ათვალიერებს; გედის ტბორი.

ი. ჭოხონელიძის ფოტო.
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

დანაშაულის კვალდაკვალ

ღვინომ იმსხვერპლა

ამბროლაური. (საკ. კორ). მიუხედავად მრავალი ღონისძიებისა, რომლებსაც სახელმწიფო ავტოინსპექცია ახორციელებს, მოძრაობის უშიშროების წესების დარღვევის ფაქტები რაიონში კვლავ ბევრია. საწარმოთა ზოგიერთი ხელმძღვანელი ჯეროვან ყურადღებას არ უთმობს მძღოლთა შორის დისციპლინის განმტკიცებას. ამას კი სავალალო მდგომარეობამდე მივყავართ. ამას წინათ მოწყობილმა რეიდებმა მრავალი დარღვევა გამოავლინეს. განსაკუთრებით იმატა შემთხვევებმა, როცა ავტოტრანსპორტს მთვრალები მართავენ და საშიშ პირობებში სიჩქარეს აჭარბებენ. არის პირადი გამორჩენის მიზნით სახელმწიფო მანქანების გამოყენების ფაქტებიც.

ამ დღეებში საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო საბჭოს კუთვნილი „ზილ" მარკის სატვირთო ავტომანქანაზე, რომელსაც ა. ყიფიანი მართავდა, გამოიწერა სამარშრუტო ფურცელი № 600, რომლის მიხედვით მას სხვადასხვა ტვირთი უნდა მიეტანა რაიონის ფარგლებში მდებარე მშენებარე ობიექტებზე. მძღოლმა არაფრად ჩააგდო დავალება, დილით კაბინაში თავისი და-ძმა ჩაისვა და თავი ონში ამოყო სხვადასხვა საოჯახო ნივთის შესაძენად.

დაგვიანებულმა მძღოლმა, უკან რომ ბრუნდებოდა, ავტოტრასაზე დიდი სიჩქარე განავითარა, ვერ დაიმორჩილა ავტომანქანა და ბენზინის სავსე ავზი საგზაო ნაგებობას გაჰკრა. დატრიალდა საშინელი უბედურება. ავტომანქანას ცეცხლი მოედო, და და ორივე ძმა დაიღუპნენ.

2 მაისს მსუბუქი ავტომანქანის „ჟიგულის" მფლობელი ნოე გაბრიელის ძე ვარაზაშვილი, რომელიც თბილისიდან მშობლიურ რაიონში სტუმრად იყო ჩასული, დათვრა და ამბროლაურ-ონის გზატკეცილზე მოუნდა გასეირნება. სოფელ წესთან მძღოლმა ვერ დაიმორჩილა ავტომანქანა, ასცდა მართვის განკუთვნილ გზას და მგზავრებით სავსე ავტობუსს შეასკდა. „ჟიგული" დაიმსხვრა, ნ. ვარაზაშვილი დაშავდა. უბედურება ამით როდი დამთავრდა, დაზიანებული ავტობუსი გადავიდა გზის მარცხენა ნაპირზე და ხევში გადაიჩეხა. ამ საგზაო შემთხვევამ ორი ქალი იმსხვერპლა, 23 დაშავებული მგზავრი კი ამბროლაურისა და ონის საავადმყოფოებში მოათავსეს.

ვინ არის „ჟიგულის" თავზეხელაღებული მძღოლი ნ. ვარაზაშვილი, რომელიც პატივს არ სცემს მოქმედ კანონს, საზოგადოებრიობას? იგი თბილისის საიუველირო ქარხნის ოქრომჭედელია.

ზემოთ აღწერილი უბედური საგზაო შემთხვევები ერთხელ კიდევ მოწმობს, თუ რა მძიმე შედეგები მოჰყვება სიმთვრალეს და გზებზე მოძრაობის წესების დარღვევას.

სპორტი

27 სახეობაში — [illegible]

კიდევ სამ ქალაქში გახდა ცნობილი საქართველოს VII სპარტაკიადის ჩემპიონების ვინაობა. ქუთაისში მოფარიკავეებმა შეაჯამეს შედეგები, ფოთში აკადემიურ ნიჩბოსნობაში დასრულდა ასპარეზობანი, თბილისში კი მოცურავეებმა დაამთავრეს შეჯიბრება. სამივე სახეობაში გუნდური პირველობა რესპუბლიკის დედაქალაქის კოლექტივებმა მოიგეს.

ქალაქ ფოთის ორგანიზაციების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ აკადემიური ნიჩბოსნების მასპინძლობისთვის თავი არ დაუზოგავთ. მათ სპორტსმენებს ასპარეზობისა და დასვენების ყველა პირობა შეუქმნეს.

შეჯიბრებები დასრულდა 27 სახეობაში და თბილისის სპორტული დელეგაცია ყველასთვის მიუწვდომელია. დედაქალაქის სპორტსმენებმა 4522 ქულა მოაგროვეს. II და III ადგილებზე არიან ქუთაისის (2629,5 ქულა) და აფხაზეთის (2385,5) კოლექტივები. ექვსეულში შედიან აგრეთვე აჭარა (2081,5), რუსთავი (1365,5) და სამხრეთ ოსეთი (1091, 5 ქულა).

ლ. გელაშვილი.

ფინალში—ორი „დინამო"

როგორც თბილისის დინამოელებმა, ისე მისმა მოსკოველმა თანაკლუბელებმა გზა გაიკაფეს სსრ კავშირის თასის გათამაშების ფინალში. მოსკოველმა ფეხბურთელებმა ნახევარფინალში დაამარცხეს ლვოვის „კარპატი" — 2:1. თბილისისა და მოსკოვის დინამოელები თასისათვის გადამწყვეტ მატჩს მოსკოვში ფიზკულტურელის დღეს — 11 აგვისტოს გამართავენ.

„ლოკომოტივი" ისევ ლიდერია

კვირას გაიმართა უმაღლესი ლიგის რეგბისტთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მერვე ტურის შეხვედრები. თბილისის „ლოკომოტივმა" უმასპინძლა კიევის „პოლიტეხნიკს". „ლოკომოტივმა" მატჩი მოიგო ანგარიშით 25:4. რკინიგზელებისათვის ეს უკვე რიგით მეშვიდე გამარჯვება გახლავთ და კვლავ ისინი ლიდერობენ გათამაშებას. თბილისის „ელვამაც" შინ ითამაშა. თბილისელებმა დაამარცხეს ქუთაისის „სახლმშენი" — 17:6. ტურის დანარჩენი სამი შეხვედრა ასე დამთავრდა: „სლავა" (მოსკოვი)-„ლოკომოტივი" (მოსკოვი) — 18:4, „ავიატორი" (კიევი)-„პოლიტეხნიკი" (კრასნოიარსკი) — 19:7, „ფილი" (მოსკოვი)-ი. გაგარინის სახელობის სამხედრო-საჰაერო აკადემიის გუნდი (მოსკოვის ოლქი) — 15:9.

თბილისის „ლოკომოტივს" ახლა 23 ქულა აქვს (7 გამარჯვება და 1 ფრე). მომდევნო ადგილებზე არიან: „სლავა" — 22 ქულა, სამხედრო-საჰაერო აკადემიის გუნდი—20, „ფილი"—18, „ავიატორი"—17, მოსკოვის „ლოკომოტივი" და კიევის „პოლიტეხნიკი" — 14-14, „ელვა" — 12, „სახლმშენი" — 9, კრასნოიარსკის „პოლიტეხნიკი" — 7 ქულა.

ერთი ტურიც და ჩემპიონატის პირველი წრე დამთავრდება.

მძლეოსნურ მერიდიანებზე

კვლავ ვიქტორ სანეევი

ჩეხოსლოვაკიის ქალაქ ბრატისლავაში გამართულ მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრებაში წარმატებით გამოვიდა სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი, თბილისელი ვიქტორ სანეევი. მან სამხტომში 16 მეტრი და 70 სანტიმეტრი გადალახა და „სლოვანფტის" პრიზს დაეუფლა. შეგახსენებთ, სანეევმა მანამდეც — ჩეხოსლოვაკიის ქალაქ ოსტრავაში გამართულ ასპარეზობაშიც გაიმარჯვა.

საიდა გუნბა უძლიერესიც არის და რეკორდსმენიც

სოჭში დამთავრდა მძლეოსანთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც კარგად იასპარეზა აფხაზმა ქალიშვილმა საიდა გუნბამ. მან შუბი ტყორცნა 61 მეტრსა და 70 სანტიმეტრზე. ეს შედეგი 102 სანტიმეტრით აღემატება მის მიერვე ადრე დამყარებულ საქართველოს რეკორდს.

კარგი სტარტი

იტალიაში დაიწყო კალათბურთელ ვაჟთა ნაკრები გუნდების ევროპის 21-ე ჩემპიონატი. საბჭოთა კალათბურთელებმა ქალაქ **სიენის** შესარჩევ ჯგუფში ორი მატჩი გამართეს და ორივე მოიგეს. მათ ჯერ ჰოლანდიელები დაამარცხეს — 92:84 (43:42), შემდეგ კი ბულგარელები — 104:71 (49:39). ამავე ჯგუფში ასევე ორი გამარჯვება აქვს მოპოვებული ესპანეთის ნაკრებს. ესპანელებმა მოუგეს ბულგარელებს — 85:81 და ჰოლანდიელებს — 105:83. საბჭოთა და ესპანელმა კალათბურთელებმა უკვე გზა გაიკაფეს ნახევარფინალური ჯგუფისაკენ.

შესარჩევი ტურნირების დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: **გორიცია.** იუგოსლავია-საფრანგეთი — 80:65, იუგოსლავია-პოლონეთი — 102:95, საფრანგეთ-ისრაელი — 92:83; **ვენეცია.** იტალია-საბერძნეთი — 81:52, ჩეხოსლოვაკია-ბელგია — 90:69, იტალია-ბელგია—86:76, ჩეხოსლოვაკია-საბერძნეთი — 74:67.

სატურნირო ორბიტაზე

ველოსპორტი. დამთავრდა „ბრიტანეთის ტურად" წოდებული საერთაშორისო მრავალდღიანი ველორბოლა. 1770-კილომეტრიანი ტრასა ყველაზე სწრაფად გაიარა სსრ კავშირის ნაკრებმა და პირველობა დაისაკუთრა. პირად ჩათვლაში საუკეთესო იყო როსტოველი იური კაშირინი. პოლონელმა იანუშ კოცაკმა მასთან მეტოქეობაში 4 წუთი და 25 წამი წააგო.

ფრენბურთი. სსრ კავშირის ფრენბურთელ ქალთა ნაკრებმა დაამთავრა ტურნე იაპონიაში. საბჭოთა სპორტსმენებმა იაპონიის ეროვნულ ნაკრებთან 4 მატჩი გამართეს და აქედან 3 მოიგეს.

ფეხბურთი. რეიკიავიკში გაიმართა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი (მეოთხე ჯგუფი) ისლანდიისა და შვეიცარიის ნაკრებ გუნდებს შორის. გაიმარჯვეს შვეიცარიელებმა — 2:1.

ჩოგბურთი. პარიზის „როლან გაროს" სტადიონის კორტებზე დამთავრდა საფრანგეთის ღია ჩემპიონატი. ქალთა ერთეულებში პირველობა მოიპოვა კრის ევერტმა (აშშ), ვაჟთა ერთეულებში — ბიორნ ბორგმა (შვეცია).

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

ტელევიზია

12 ივნისი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 17.25 — აბიტურიენტთათვის — ქართული ენა, 17.55 — განცხადებები (ფ.), 18.00 — შევისწავლოთ ინგლისური ენა, 18.30 — „გრძელჭალელ მოსწავლეთა სატკივარი", 19.05 — მულტიპლიკაციური ფილმი, 19.15 — „მეცნიერება სახალხო მეურნეობას", 19.45 — „დღეს მსოფლიოში" (მ.), 20.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 20.30 — „უკრავს საქართველოს სახელმწიფო კვარტეტი" (ფ.), 21.10 — კინოეპოპეა „დიდი სამამულო". „ომი ჰაერში". ფილმი მეთერთმეტე (მ), 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.35 — „სპორტული მიმოხილვა" (ფ.).

მეორე პროგრამით: 16.00 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „შორეულ წერტილზე", 17.10 — განცხადებები (ფ.), 17.15 — კონცერტი, 17.55 — „ადამიანი და გარემო" სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მოთხრობა მწვანე სახლზე", 18.30 — ქართული მხატვრული ფილმი „პიერი — მილიციის თანამშრომელი".

თეატრი

12 ივნისი

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ტრავიატა (მე-14 აბონ. მე-4 წარმოდგენა); რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — შუშანიკის მარტვილობა; მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — შთამომავლობა; აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — ჩანჩურა.

ვ. ი. ლენინის სახელობის
„დინამოს" სტადიონი
(აკ. წერეთლის გამზ. № 2)

ფეხბურთი

სსრ კავშირის პირველობა
თბილისის „დინამო" — მოსკოვის „ტორპედო"
13 ივნისს — სათადარიგო შემადგენლობა
დასაწყისი 18 საათზე
14 ივნისს — ძირითადი შემადგენლობა
დასაწყისი 19 საათზე.

ორგანიზაციებში ბილეთები გაიყიდება 12 და 13 ივნისს დილის 10 საათიდან, საერთო გაყიდვა — 14 ივნისს დილის 10 საათიდან „დინამოს" სტადიონის სალაროებში.

თუ გაწვიმდა, სათადარიგო შემადგენლობის თამაში „ლოკომოტივის" სტადიონზე გაიმართება.

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო და ა. ს. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ამავე ინსტიტუტის პროფესორი, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, სამამულო ომის ვეტერანი, სკკპ წევრი 1942 წლიდან

ვლადიმერ (ლადო)
ემელიანეს ძე
მახარაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434

უე 07186

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.